ახალი განათლება

29 სექტემბერი – 5 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№28 (742) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

თსუ რექტორის არჩევნების შემდეგ

გვერდი 3

ახალი სასწავლო წლის ძირითადი სიახლეები

გვერდი 2

12-მილიონიანი ინვესტიცია პროფესიული განათლებისთვის

გვერდი 5

ინკლუზიური განათლების გამოწვევები – როგორ გავზარდოთ ჩართულობა და განათლების ხარისხი

გვერდი 6

სახეცვლილი თვითშეფასების კითხვარი – 120 პუნქტიდან 10 შეფასების სფეროამდე

გვერდი 4

აშშ-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში
იწყებს სკოლების განაცხადების მიღებას 2017-2019 წლებში მოხალისესთან თანამშრომლობისთვის

Peace Corps

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები თექვსმეტი წელია წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს საქართველოს რეგიონებში. კონკურსში შერჩეული სკოლები ამერიკელ ინგლისური ენის მასწავლებლებთან იმუშავებენ, 2017-2019 სასწავლო წლებში, ინგლისური ენის ცოდნის დონისა და სასწავლო პრაქტიკის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში: **კახეთი (ახმეტის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების გარდა), მცხეთა-მთიანეთი (სტეფანწმინდის გარდა), ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო (წალენჯიხის გარდა), რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი.** კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლიათ იმ სოფლებისა და ქალაქების სკოლებს, რომლებიც მდებარეობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის ათკილომეტრიან ზოლში.

თუ თქვენი სკოლა მდებარეობს ჩამოთვლილი რეგიონებიდან ერთ-ერთში, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი გადე შეადგენს 24 საათს და დაინტერესებული ხართ მოხალისესთან თანამშრომლობით 2017-2019 აკადემიურ წლებში, აპლიკაცია მოითხოვეთ ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრში ან მოიძიეთ ჩვენს ვებგვერდზე: https://www.peacecorps.gov/georgia/ask-for-a-volunteer/, შეავსეთ და მოგვაწოდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი 29ᵃ, თბილისი, 0160 ან გამოგვიგზავნეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: education@ge.peacecorps.gov

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

- ასმათ სიხარულიძე
  განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
  ტელ: 595906444;
- თეო ნეფარიძე
  განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
  ტელ: 591969881;
- ია გელაშვილი
  განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
  ტელ: 595950406;
- ნინო ფიროსმანიშვილი
  პროგრამების და ტრენინგების სპეციალისტი
  ტელ: 595027979.

მიადევნეთ თვალი ჩვენს ფეისბუქ გვერდს:
Peace Corps Georgia

მოხალისის მოთხოვნის შევსებული ფორმის ჩაბარების ბოლო ვადაა 20 ოქტომბერი, 2016 წელი

ახალი სასწავლო წელი

ძირითადი სიახლეები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **ალექსანდრე ჯეჯელავამ** ზოგად განათლებაში განხორციელებულ და დაგეგმილ სიახლეებზე ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ისაუბრა.

ბოლო პერიოდში, ზოგად განათლებაში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. კერძოდ, მასწავლებელთა გაზრდილი ხელფასები; განახლებული სასწავლო გეგმა; ერთიანი საგანმანათლებლო ქსელის ამოქმედება; ელექტრონული ჟურნალები; აღდგენილი ექიმის კაბინეტები; გადამზადებული მანდატურები და მოსწავლეების ფსიქოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი ფსიქოლოგიური ცენტრები; გადამზადებული მასწავლებლები და დირექტორები; განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები და ახალი სკოლების მშენებლობა; სკოლების აღჭურვა სასკოლო ინვენტარით; სახელმძღვანელოები ყველა მოსწავლეს და კომპიუტერები ყველა პირველკლასელს; ყველა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის სწავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფა და სპეცმასწავლებელთა გაზრდილი რაოდენობა; სკოლის მოსწავლეთა ტრასპორტით მომსახურება და სხვ.

რაც შეეხება სიახლეებს:

❖ დაინერგება თავისუფალი გაკვეთილები, რაც მოსწავლის ინტერესზე ორიენტირებული სწავლების ინოვაციური და კრეატიული საშუალებაა და სასკოლო ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდება. სახელმწიფო ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მრავალფეროვან აქტივობებს და პროექტებს, რომელიც მათ დაეხმარებათ ანალიტიკური, კრეატიული, შემოქმედებითი და ინოვაციური აზროვნების, გუნდური მუშაობისა და ლიდერის უნარების, ასევე, სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციების განვითარებაში. მოახდენს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. თავისუფალი გაკვეთილების დანერგვა უაღრესად მნიშვნელოვანია მასწავლებლებისთვისაც, რადგან მათთვის დამატებით ფინანსურ წყაროს წარმოადგენს და ხელს შეუწყობს მათი მოტივაციის ამაღლებას.

❖ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაგრძელდება დირექტორების, ფასილიტატორების, მასწავლებლების და შეფასების ჯგუფის წევრთა მხარდაჭერა და პროფესიული განვითარება. ამავე მიზანს მოემსახურება ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი, რომელიც 2016-2019 წლებში ხორციელდება და მისი ბიუჯეტი 14 მილიონი აშშ დოლარია (MCC/MCA).

❖ ამოქმედდება გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GIS), რომლის შექმნის მიზანს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ არსებული მონაცემების ვიზუალიზაცია და ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. რუკაზე დატანილი იქნება ყველა სკოლა, შესაძლებელი იქნება ძებნის განხორციელება სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით. ხელმისაწვდომი იქნება დინამიურად განახლებადი სხვადასხვა სახის სტატისტიკური ინფორმაცია, როგორც ცალკეული სკოლის, ასევე რაიონისა და რეგიონის ჭრილში.

❖ ელექტრონული ჟურნალის დანერგვის პირველი ეტაპის ფარგლებში, 2016-2017 სასწავლო წლიდან, სისტემით სარგებლობის შესაძლებლობა, მატერიალური ჟურნალის პარალელურად, 400-მდე საჯარო სკოლას ექნება. აღნიშნულმა სკოლებმა თავად გამოთქვეს პილოტში მონაწილეობის სურვილი.

❖ **2017 წლის 1 იანვრიდან**, სქემის შესაბამისად, მასწავლებელთა ხელფასის ზრდა განხორციელდება, კერძოდ (მოცემულია პროგნოზირებადი მაჩვენებლები):

ა) **უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი** სრული დატვირთვის შემთხვევაში, განისაზღვრება არანაკლებ 320 ლარით;

ბ) **წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი** სრული დატვირთვის შემთხვევაში, განისაზღვრება არანაკლებ 500 ლარით;

გ) **მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი** სრული დატვირთვის შემთხვევაში, განისაზღვრება არანაკლებ 700 ლარით;

2017 წელს მასწავლებლის საშუალო ხელფასი 800-900 ლარს მიაღწევს.

ალექსანდრე ჯეჯელავა: *„ძირითადი სიახლეები, რომლებზეც დღეს ვსაუბრობთ, ზოგადი განათლების სისტემაში, ბევრი მიმართულებითაა, მათ შორის: სახელმძღვანელოების ბეჭდვა, გრიფირების პროცესი, ახალი სახელმძღვანელოები, რომლებიც უნდა შეიქმნას და მომავალი წლიდან შევიდეს სკოლებში. ასევე, კომპიუტერებისა და ტექნოლოგიების გავრცელება სკოლაში. ამ მიმართულებით გვაქვს სიახლეები და მნიშვნელოვანი გეგმები.*

ახალ სასწავლო წელს, ფაქტობრივად, ყველაზე მაღალი მზადყოფნით შევხვდით, ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით. 15 სექტემბერს მხოლოდ ოც სკოლაში ვერ დაიწყო სასწავლო პროცესი, რაც რეკორდია, არასდროს არ ყოფილა ასე ცოტა, თან ამ ოციდან, რეალურად, შვიდში არის დაგვიანება, რადგან ცამეტი ამერიკული სკოლებია და ამერიკულმა კომისიამ უნდა ჩაიბაროს. ესეც მნიშვნელოვანი სიახლეა. გაგრძელდება სკოლების მშენებლობა, რეაბილიტაცია და აღჭურვა, ექიმის კაბინეტებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

მანდატურის სამსახური, ანუ „უსაფრთხო სკოლის“ კონცეფცია ხორციელდება სულ უფრო მეტ სკოლაში, ახალ სკოლებში შევდივართ წელსაც და ეს პროცესი გაგრძელდება.

ვზრდით სატრანსპორტო დაფარვას, 2016-2017 სასწავლო წელს ავტობუსების მომსახურებით, დამატებით, 23 საჯარო სკოლა და 1500 მოსწავლე ისარგებლებს. ასევე ინტერნეტის მიმართულებით გვაქვს მნიშვნელოვანი პროგრესი, მეტ სკოლაში არის ინტერნეტი, მეტ სკოლაშია Wi-Fi, ამაში უცხოელებიც გვეხმარებიან და ჩვენი რესურსითაც ვაკეთებთ.

მნიშვნელოვანია მასწავლებლების ხელფასების მიმართულებით უკვე განხორციელებული და სამომავლო ცვლილებები. ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ მასწავლებლის ხელფასი უკვე მიუახლოვდა, ასე ვთქვათ, ადეკვატურ ზღვარს, ბაზართან შედარებით. რა თქმა უნდა, რასაც ეს ხალხი იმსახურებს, იმის ადეკვატურს არა, მაგრამ სახელმწიფო მოხელეების და სხვა შედარებადი პროფესიების ხელფასს მიუახლოვდა. ესეც კარგი სიახლეა.

ვმუშაობთ ეროვნული სასწავლო გეგმის დახვეწაზე, გამარტივებაზე, რათა უფრო საინტერესო გახდეს ჩვენი მოსწავლეებისთვის და მეტი დრო ჰქონდეთ მასწავლებლებს, რომ ხარისხიანი ცოდნა მიაწოდონ მოსწავლეებს. ამას მიჰყვება სახელმძღვანელოები, მასწავლებლის გამოცდების განვითარებაც და დახვეწაც.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა იცვლება და ხდება უფრო დამხმარე ინსტრუმენტი მასწავლებლისთვის, ვიდრე დამსჯელი ან შემფასებელი. ჩვენ შევეცდებით, რომ მათი პროფესიული განვითარება წავახალისოთ.

ასევე კარგი ამბავია, რომ მოსწავლეების რაოდენობა იზრდება ჩვენს სისტემაში – ბევრ რაიონში გვითხრეს, რომ პირველად, მრავალი წლის განმავლობაში, ნაკლები ბავშვი ამთავრებს სკოლას, ვიდრე იწყებს, ანუ სკოლა კი არ მცირდება, იზრდება. ეს დემოგრაფიული ტენდენციაა, რომელიც განსაკუთრებით შესამჩნევია დიდ ქალაქებში, სადაც ვაშენებთ ახალ სკოლებს და კიდევ უფრო მეტის აშენება მოგვიწევს. ამაშიც ჩვენი ამერიკელი მეგობრები გვეხმარებიან.

მთლიანობაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი სასკოლო სისტემა გაუმჯობესების პროცესშია. გაცილებით უფრო ბევრი ცვლილებაა საჭირო და დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალ წელს ჩვენი მოსწავლე იტყვის, რომ სკოლაც უფრო მეტად უყვარს და სწავლაც.“

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

თსუ რექტორის არჩევნების შემდეგ

26 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსთან დილიდან სტუდენტთა სიმრავლე იყო, საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო მინისტრთა კაბინეტიც, აქ იმყოფებოდნენ: განათლების მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, ეკონომიკის მინისტრი. ისინი მოვიდნენ, რომ საზეიმო ღონისძიებაში მიეღოთ მონაწილეობა, სტუდენტებისთვის სწავლის დაწყება მიელოცათ, თუმცა, დაგეგმილი ღონისძიება ვერ შედგა – პირველივე გამომსვლელს სტუდენტებმა სიტყვა შეაწყვეტინეს ხმაურიანი შეძახილებით: „ჩვენ არ ვართ ამ პოლიტიკური სპექტრის ნაწილი!“, „ავტონომია უნივერსიტეტს!“, „ვითხოვთ პირდაპირ საბიუჯეტო დაფინანსებას“, „გრძელდება კლანური მმართველობა და ანტისამეცნიერო პროცესები“. „აუდიტორია115“-ის წარმომადგენლებმა დაიკავეს ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი ღონისძიებისთვის განკუთვნილი ადგილი. მათ თავიანთი მოთხოვნები გააცნეს სტუდენტებს, ძირითადად, იგივე, რაც გასული სასწავლო წლის განმავლობაში ჰქონდათ: უნივერსიტეტის რეფორმირება, რეალური ავტონომია, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლება, სტუდენტური თვითმმართველობის სრული რეორგანიზება, გარე რეფერირების პროცესის დანერგვა. სექტემბერში ამ ძირითად მოთხოვნებს ის უნდობლობაც დაემატა, რომელსაც სტუდენტთა ნაწილი უნივერსიტეტის ახალ რექტორს, **გიორგი შარვაშიძეს** უცხადებს, რადგან ის განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილეა და სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ მისი რექტორად არჩევით უნივერსიტეტის ავტონომიურობის საკითხი საბოლოოდ დაიხურა, უნივერსიტეტი ავტონომიურობას ვეღარ მიიღებს. დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში, ვიდრე „აუდიტორია 115“-ის წევრები თავიანთ მოთხოვნებს აცნობდნენ დამსწრე საზოგადოებას, უკანა ფლანგზე იმყოფებოდნენ მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლები და ამ გამოსვლებს ისმენდნენ.

უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე აცხადებს, რომ სტუდენტთა ძირითად მოთხოვნებს ეთანხმება, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც მისთვის უნდობლობის გამოცხადებას გულისხმობს. მიაჩნია, რომ უნივერსიტეტმა აუცილებლად უნდა მოიპოვოს ავტონომიურობა: *„რაც შეეხება „აუდიტორია 115“-ის ნაწილის გამოსვლას, ხედავთ რა ფორმით მიმდინარეობს. არა მგონია ლამაზი ფორმა იყოს, თუმცა, ეს გემოვნების საკითხია. გასაგებია, რომ რეკრუტირებაა საჭირო, ალბათ „აუდიტორია 115“-ში მეტი სტუდენტის მოზიდვა სურთ და ასე იმიტომ იქცევიან, მეტი ყურადღება რომ მიიქციონ. ესეც გასაგებია, ეს მათი ინტერესია. ჩვენი ინტერესიც ზუსტად ის არის, რასაც ისინი ახლა გაჰყვირიან. ჩემი თვალსაზრისით, „აუდიტორია 115“ არარეგისტრირებული „ენჯეოა“, იმიტომ რომ, ძალიან ბევრი წევრი არასტუდენტია, თან ძალიან მაღალი პოლიტიკური გრადუსია შემოტანილი“.*

ალექსანდრე ჯეჯელავა: *„ეს ღია კარის მტვრევად შეიძლება ჩავთვალოთ, იმიტომ რომ, მაშინდელი რექტორობის კანდიდატის და ამჟამად რექტორის კონცეფცია, პრაქტიკულად ემთხვევა „აუდიტორია 115“-ის მოთხოვნებს, ანუ უნივერსიტეტის ახალი ხელმღვანელი ამბობს, რომ სწორედ იმის გაკეთებას აპირებს, რასაც ეს ხალხი ითხოვს. თუმცა, მათ, რა თქმა უნდა, სრული უფლება აქვთ, თავიანთი აზრი როგორც ნებავთ, რა ფორმითაც ნებავთ, ისე გამოხატონ“.*

უნივერსიტეტის რექტორმა თავისი მისასალმებელი სიტყვა მოგვიანებით მაინც თქვა, პროტესტისა და სკანდირების ფონზე – უნივერსიტეტს სჭირდება ავტონომია! – თუმცა, რამდენად გაიგეს პირველკურსელებმა მისი მისალმება, უცნობია, რადგან რექტორს გამოსვლა შეძახილებისა და ხმაურის ფონზე უწევდა. მან მოუწოდა „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლებს, დიალოგის სხვა რეჟიმზე გადასულიყვნენ და უნივერსიტეტის შიგნით გაეგრძელებინათ მოლაპარაკებები მოთხოვნებთან დაკავშირებით.

რადგან არც ახალ რექტორს და არც მოწვეულ სტუმრებს „აუდიტორია 115“-ის წევრებმა არ მისცეს სტუდენტებთან მისალმების საშუალება. პროტესტის ფორმები საკმაოდ მწვავე იყო, რექტორი და სტუმრები – მინისტრთა კაბინეტის წევრები და დედაქალაქის მერი – იძულებული გახდნენ, შენობაში, კაბინეტში გადასულიყვნენ. სტუდენტებმაც სცადეს შენობაში შესვლა. დაპირისპირება სტუდენტებსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შორის მას შემდეგ დაიწყო, რაც გაიგეს, რომ უნივერსიტეტის დაცვის წევრები უნივერსიტეტში შესვლის უფლებას არ აძლევდნენ. საბოლოოდ სტუდენტებმა მოახერხეს შენობაში შესვლა, თუმცა იქ ძალიან საინტერესო სურათი დახვდათ – რატომღაც უნივერსიტეტში პოლიციის თანამშრომლები იყვნენ როგორც ფორმიანები, ისე ფორმის გარეშე.

ლევან ლორთქიფანიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115“-ის წევრი: *„პათოლოგიური შიში აქვთ, რომ ჩვენ მინისტრებს შევიპყრობთ ან სხვა რაიმეს მოვიმოქმედებთ. არაფერი მსგავსი. ჩვენი სურვილია, მათ თავიანთი სიტყვა შეასრულონ და იყვნენ სტუდენტური მოძრაობის პარტნიორები, შეიტანონ კანონში ცვლილებები, რაზეც ამ ცოტა ხნის წინ თანახმანი იყვნენ. არაფერს ზედმეტს, არაფერს გაუგებარს ჩვენ არ ვითხოვთ“.*

როგორც „აუდიტორიის“ მონაწილეები აცხადებენ, პოლიციასთან დაპირისპირების დროს მათ ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენეს. აქციის მონაწილეებმა რექტორისგან მიიღეს პირობა, რომ აუცილებლად გამოიძიებენ ამ ფაქტს და დადგინდება, ჰქონდა თუ არა პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებას ადგილი. რაც შეეხება იმას, თუ რატომ იმყოფებოდა პოლიცია უნივერსიტეტში, ამაზე უნივერსიტეტის დაცვის უფროსმა გააკეთა განმარტება: *„იმ შემთხვევაში, თუკი არის საშიშროება, რომ ვითარება გართულდება და უმართავი გახდება, მას აქვს უფლება, დამატებითი ძალის სახით, გამოიძახოს პოლიცია. სწორედ ამ შემთხვევას ჰქონდა ადგილი“.*

გიორგი შარვაშიძე: *„სტუდენტებმა მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ მათ მიმართ ძალადობას ჰქონდა ადგილი. ჩვენ გავარკვევთ ყოველ კონკრეტულ ფაქტს და ვინც დამნაშავეა, კანონის შესაბამისად დაისჯება. მოვუწოდებ ყველას, არ არის საჭირო აჟიტირება, მზად ვარ ნებისმიერ ფორმატში დიალოგისთვის“.*

ალექსანდრე ჯეჯელავა: *„ამაზე მეტი ავტონომია და თავისუფლება, როდესაც ვდგავართ ხელისუფლების წარმომადგენლები და ვაძლევთ საშუალებას ამ ხალხს, თავიანთი აზრი გამოხატონ, მე მგონი, არ არსებობს. ასევე, მინდა ვთქვა, რომ პროტესტის ფორმას რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები, მაგრამ შინაარსი სავსებით სწორია. ჩვენც სწორედ ამას ვაპირებთ – მეტი ავტონომია უნივერსიტეტს, უფრო ძლიერი თვითმმართველობა და საერთაშორისოზე ორიენტირებული უმაღლესი განათლება, ამ უნივერსიტეტმა დაიბრუნოს ლიდერობა. ამისკენ იქნება მიმართული ჩვენი ძალისხმევა, მათ შორის ამ ხალხთან ერთად“.*

მოგვიანებით დაიწყო გიორგი შარვაშიძის შეხვედრა „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლებთან. მათ თავიანთი მოთხოვნები რექტორს პირადად გააცნეს. შეხვედრა, დაახლოებით, ერთი საათის განმავლობაში გაგრძელდა. დაისვა ყველა ის საკითხი, რაც აქციებზეც გაისმოდა: უნივერსიტეტის რეფორმა, სწავლის ხელმისაწვდომობა, პირობების გაუმჯობესება სტუდენტურ საცხოვრებლებში და სხვ. უნივერსიტეტის ახალმა რექტორმა განაცხადა, უახლოესი სამი თვის განმავლობაში შეიქმნება სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმა უნივერსიტეტისთვის, რომლის კვალდაკვალ, სამ თვეში, სახეზე იქნება რეზულტატიც.

დავალიანების გამო სტატუსშეჩერებულ სტუდენტებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე უპასუხა, რომ საერთოდ სტატუსის შეჩერება, პირადად მას, არასწორ პრაქტიკად მიაჩნია.

რაც შეეხება სტუდენტური თვითმმართველობის რადიკალურ რეფორმირებას: *„აუცილებელია, არჩევნები იყოს პირდაპირი, რასაკვირველია, ერთნაირი წვდომა უნდა ჰქონდეს ყველას ნებისმიერ სიკეთეზე, იქნება ეს არჩევითი თანამდებობა, გრანტის მიღება, თანხის გამოყოფა თუ სხვ. ეს სისტემა გამჭვირვალე და გასაგები, ლოგიკურად ასახსნელი უნდა იყოს“.*

შეხვედრის შემდეგ რექტორმა განაცხადა, რომ სტუდენტთა მიერ დასმულ საკითხებს განიხილავს აკადემიური საბჭოს წევრებთან. მან სტუდენტებს თანამშრომლობისკენ მოუწოდა. რაც შეეხება სტუდენტების შთაბეჭდილებებს, აცხადებენ, რომ მათ გიორგი შარვაშიძესთან თანამშრომლობის გამოცდილება უკვე აქვთ, ამიტომ ნაკლებად იმედიანად არიან განწყობილი, თუმცა, აქციების პარალელურად, არ გამორიცხავენ, რომ დროდადრო ადმინისტრაციასთან შეხვედრებიც გამართონ.

გიორგი შარვაშიძე: *„ძალიან ბევრი მტკივნეული საკითხი განვიხილეთ. ზოგის გადაწყვეტა ახლავე, ძალიან სწრაფად შეიძლება. ვაპირებ, ძალიან ღიად ვიმუშაოთ იმაზე, თუ როგორი იქნება ჩვენი უნივერსიტეტი. ეს ყველა ჩვენგანის უნივერსიტეტია და ის, რომ დღეს უნივერსიტეტში ყველაფერი რიგზე არ არის, ფაქტია. ამაზეც გვქონდა საუბარი. ყველამ ერთად უნდა ვეძებოთ გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან და მჯერა, ცოტა ხანში, ძალიან სერიოზული ნაბიჯები გადაიდგმება იმ მიმართულებით, რომ უნივერსიტეტი მართლაც კვლევისა და სწავლების სამაგალითო ადგილი გახდეს არა მხოლოდ ამ ქვეყანაში“.*

გიორგი ჯავახაძე, „აუდიტორია 115“-ის წევრი: *„კონკრეტული პასუხები ჩვენ რექტორისგან არ მიგვიღია. ერთადერთი, რაც მან შემოგვთავაზა, ეს არის გაურკვეველი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა, რასაც ყველა რექტორი, რომელიც მოდიოდა, გვპირდებოდა. ჩვენ დღეს ძალიან კონკრეტული მოთხოვნა წავუყენეთ მას – სოციალურად გაჭირვებულ სტუდენტებს, რომლებიც ვერ იხდიან გადასახადს, გაეხსნათ ბაზები ისე, როგორც ეს ადრე ხდებოდა პრაქტიკაში. მათ შეეძლებათ გადაიხადონ ამ სემესტრის გადასახადის რაღაც ნაწილი, სიმბოლური თანხა და შეეძლებათ აკადემიური რეგისტრაცია. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს აკადემიური საბჭო ამასთან დაკავშირებით, შემდგომზე მომავალში ვისაუბროთ“.*

მოგვიანებით აკადემიური საბჭო შეიკრიბა. გიორგი შარვაშიძის თქმით, შეხვედრისას საუბარი იყო უნივერსიტეტისათვის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაზე. შეიქმნება საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც ჩართვის შესაძლებლობა ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეცემა: *„რაც მეტი მონაწილე ეყოლება ამ პროცესს და რაც მეტი პროფესიონალი ჩაერთვება ამ საქმეში, უკეთესია. ამიტომ, ვთხოვეთ საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც განათლებით არიან განათლების სპეციალისტები და იურისტები, ჩაერთონ მუშაობაში. არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც უნივერსიტეტის კომპეტენციაა და არის რიგი საკითხებისა, რომელიც აღემატება უნივერსიტეტის კომპეტენციას. ასეთია საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის ინიცირებაც უნდა მოხდეს. უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი ინტელექტუალური რესურსი საიმისოდ, რომ გახდეს პოზიტიური ცვლილებების კატალიზატორი.“*

ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტებთან, დავალიანების რესტრუქტურიზაციაზე, შეთანხმება გაფორმდება. სასწავლო პროცესის ვადების ბრძანებაში, რექტორის ბრძანებით, ცვლილება შევიდა, უფრო კონკრეტულად კი ადმინისტრაციული რეგისტრაცია (სწავლის საფასურის გადახდა) და აკადემიური რეგისტრაცია (სასწავლო კურსების არჩევა) 3 ოქტომბრის ჩათვლით ხანგრძლივდება, რაც გულისხმობს, რომ ამ სტუდენტებს თანხის შეტანის ვადა გაუხანგრძლივდებათ. ადმინისტრაციის ინფორმაციით, თითოეული განცხადების შესწავლა ინდივიდუალურად მიმდინარეობს.

გიორგი შარვაშიძე: *„ყველა სტუდენტს ვუთხარი და კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ კარი მართლაც ღია არის. ჩვენ ვაპირებთ, დავიწყოთ მუშაობა, ყველამ ერთად, სტრატეგიულ დოკუმენტზე. ბევრი სტუდენტი უკვე დაინტერესდა, აკადემიური საბჭო იქნება წამყვანი, ვაპირებ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებიც ჩავრთოთ ძალიან აქტიურად პროცესში. ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოგვცემს საშუალებას, ობიექტური ინდიკატორების მეშვეობით გაიწეროს სამომავლო ხედვები და ეს არ იყოს ფუჭი დაპირებები.“*

მარიამ გულიაშვილი, „აუდიტორია 115“-ის წევრი: *„რექტორმა დადო პირობა, რომ მალევე წარადგენს სტრატეგიას, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი ყველა ჩვენი მოთხოვნის შესრულების დრო. თუკი არ დაიწყება რეალური მოქმედება ჩვენი მოთხოვნების შესრულებისთვის (ჩვენ ძალიან დიდი გამოცდილება გვაქვს ტყუილების თუ შეცვლილი ჩვენებების), თუკი არ მოხდება რეალური ცვლილებები, „აუდიტორია 115“ ისევ დაიწყებს გამოსვლებს უნივერსიტეტში.“*

სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით „აუდიტორია115“-ის წევრები გიორგი შარვაშიძისგან რეალურ ქმედებებს უახლოეს პერიოდში ელოდებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში, აქციებს აანონსებენ.

* * *

წელს თსუ-ს 3500-მდე პირველკურსელი ჰყავს, უნივერსიტეტი სტუდენტებს, ახალ სასწავლო წელს, განახლებული ინფრასრუქტურით ხვდება.

ალექსანდრე ჯეჯელავა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„მივულოცავ სტუდენტებს სწავლის დაწყებას. სწავლაზე კარგი, მე მგონი, ცხოვრებაში არაფერია. რაც შეეხება ახალ სასწავლო წელს, მოველი, რომ ვნახავთ აბსოლუტურად განახლებულ, განსხვავებულ უნივერსიტეტს, განსხვავებული ურთიერთობებით სტუდენტებთან, პირველ რიგში. მთელი ზაფხული ვმუშაობდით სტუდენტებთან, „აუდიტორია 115“-თან, თვითმმართველობასთან – ყველა დაინტერესებულ ჯგუფთან. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ურთიერთობა იქნება არა პაექრობა, არამედ თანამშრომლობა.*

ჩვენ ვაპირებთ, რომ 180 000-სტუდენტიან საქართველოში სისტემა ისე ავაშენოთ, როგორც აინტერესებს და უნდა 180 000 სტუდენტს და 22-ათასიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაპირებთ გავითვალისწინოთ 22 000 სტუდენტის მოსაზრება და შეხედულება.“

მოამზადა **ლალი თვალაბეიშვილმა**

პროფესიული განვითარება

სახეცვლილი თვითშეფასების კითხვარი – 120 პუნქტიდან 10 შეფასების სფერომდე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

სულ მალე მასწავლებლებს გამარტივებული და სახეშეცვლილი თვითშეფასების კითხვარის შევსება მოუწევთ. რა სახის სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილებები განხორციელდა კითხვარში და რის საფუძველზე მოხდა მისი გამარტივება, ამის შესახებ გვესაუბრება უწყვეტი პროფესიული განათლებისა და კარიერული წინსვლის პროგრამის ხელმძღვანელი ირინა სამსონია

– გასული სასწავლო წელი მასწავლებლებისთვის თვითშეფასების კითხვარის შევსებით გამოწვეული მღელვარებით დაიწყო, 120-პუნქტიანი დოკუმენტის შევსებამ პედაგოგები დააბნია და პროცესი საკმაოდ გაიწელა. როგორც ცნობილია, კითხვარში ცვლილებები განხორციელდა, რაც იმას ნიშნავს, რომ თვითშეფასების კომპონენტი წელსაც რჩება, მაგრამ, პირველ რიგში, საინტერესოა, რის საფუძველზე მოხდა ცვლილებები?

– თვითშეფასების კომპონენტი ბუნებრივია რჩება, რადგან პროფესიული განვითარების პროცესი, ცხადია, თვითშეფასების გარეშე სრულყოფილი ვერ იქნება. თვითრეფლექსია არსებითია იმისთვის, რომ ადამიანმა საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე იზრუნოს.

შარშან, როდესაც თვითშეფასების კითხვარი გამოქვეყნდა და მასწავლებლებმა ამაზე დაიწყეს მუშაობა, იმთავითვე იყო განზრახული, რომ ჩატარებულიყო შესაბამისი კვლევები, რომელიც მთელ ამ პროცესში მის ძლიერ და სუსტ მხარეებს გამოავლენდა. ჩავატარეთ კვლევა თვითშეფასების კითხვარის ეფექტიანობასთან დაკავშირებით, რომლის შედეგებიც უკვე გვქონდა მარტში, ხოლო მაისში განვახორციელეთ სრულმასშტაბიანი კვლევა – შევაფასეთ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დანერგვის საპილოტე წლის შედეგები მთლიანობაში. ეს იყო უფრო მსხვილი და დიდი კვლევა, რომელშიც თვითშეფასების კომპონენტიც იყო ინტეგრირებული და კიდევ ერთხელ გამოვიკვლიეთ თვითშეფასებასთან დაკავშირებული პრობლემები. სწორედ ამ ორი კვლევის შედეგების გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა: მასწავლებლების უმეტესი ნაწილი უპირველეს პრობლემად კითხვარის მოცულობას ასახელებდა, დიდი მოცულობის კითხვარის შევსებას დიდი დრო სჭირდება; მეორე პრობლემად მასწავლებლების ნაწილმა კითხვარის ენობრივი სირთულე დაასახელა, ამბობდნენ, რომ ჭარბადაა გამოყენებული ტერმინოლოგია. ცოტა ზოგადი განაცხადია „ენობრივად რთული“, მაგრამ როცა ჩავუღრმავდით და კონკრეტულ შენიშვნებსა თუ მოსაზრებებს გავეცანით, აღმოჩნდა, რომ უმეტესად საგანმანათლებლო ტერმინოლოგიის სიჭარბე ქმნიდა სირთულეს, შინაარსობრივი თვალსაზრისით კი, ყველაზე ნაკლები შენიშვნა ჰქონდათ. თუმცა, მესამე პრობლემა სწორედ შინააარსს დაუკავშირდა, გამოითქვა მოსაზრება, რომ ზოგიერთი პუნქტის შინაარსი ცოტათი ბუნდოვანია, რადგან პუნქტებს შორის გვხვდება შინაარსობრივი გადაფარვა. ასეთი გადაფარვები მართლაც იყო რამდენიმე ადგილას და შენიშვნაც სამართლიანი იყო. მეოთხე პრობლემა, რომელიც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, უნიფიცირებულ რუბრიკას უკავშირდებოდა. მასწავლებელს ერთი, ზოგადი რუბრიკის მეშვეობით უნდა შეეფასებინა საკუთარი საქმიანობა 120 კომპონენტის მიხედვით, რაც მართლაც არ იყო მოსახერხებელი, არ იძლეოდა სრულფასოვნად შეფასების საშუალებას.

მასწავლებლებმა დაასახელეს კიდევ ერთი მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემა –კითხვარი არ ითვალისწინებდა ყველა საგნის (მაგ., სპორტის, მუსიკის...) თავისებურებებს, ანუ ყველა საგნის მასწავლებელს თანაბრად არ ჰქონდა საკუთარი შესაძლებლობების შეფასების საშუალება, რადგან საგნის სპეციფიკა არ იყო გათვალისწინებული. ცხადია, ამ პრობლემამ განსაკუთრებით იჩინა თავი იმ ნაწილში, სადაც საუბარია სხვადასხვა დონის სააზროვნო უნარის განმავითარებელი სტრატეგიების გამოყენებაზე სასწავლო პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ამ საგნების მასწავლებლებს შეეძლოთ მოენიშნათ შესაბამისი გრაფა და დაესაბუთებინათ, თუ რატომ არ შეესაბამებოდა ესა თუ ის პუნქტი მათ პრაქტიკას, და ამისთვის მათ არავინ მოსთხოვდა პასუხს, ეს მაინც აღიქვეს პრობლემად. კიდევ ერთი პრობლემური საკითხი ღმოჩნდა თვითრეფლექსია. როგორც კვლევამ აჩვენა, მასწავლებლებს გაუჭირდათ თითოეულ ქვესფეროზე 2-2 რეფლექსიის დაწერა. თვითრეფლექსია ბუნებრივი, პროფესიული განვითარების თანამდევი პროცესია, მაგრამ მისი ასეთი სისტემური სახით დანერგვა სასკოლო სივრცეში სიახლე იყო, შესაბამისად, მასწავლებლებმა ეს რთულ და შრომატევად საქმიანობად შეაფასეს და გამოხატეს უკმაყოფილება.

ეს ის ძირითადი პრობლემებია, რომლებიც კვლევის შედეგად გამოვლინდა ხელისშემშლელ ფაქტორებად იქცა თვითშეფასების პროცესში. ყოველივე ამის საფუძველზე, კითხვარში შევიტანეთ გარკვეული სახის ცვლილებები.

– კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა თვითშეფასების კითხვარში და მივიღეთ თუ არა ამის შედეგად გამარტივებული კითხვარი?

– უპირველესად მინდა გითხრათ, რომ თვითშეფასების კითხვარი უკვე დამტკიცდა და ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა განათლების საინფორმაციო ცენტრთან, მზადდება თვითშეფასების კითხვარის ელექტრონული ვერსია, რომლის ინტერფეისიც მთლიანად იქნება შეცვლილი.

პირველ რიგში, გამარტივდა სტრუქტურა – გაუქმდა ქვესფეროები, ბლოკები და პუნქტები. დარჩა მხოლოდ მიმართულებები და შეფასების სფეროები.

კითხვარი მოიცავს ოთხ მიმართულებას: 1. სასწავლო გარემო; 2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა; 3. სწავლება; 4. სწავლების დროს შეფასების გამოყენება. თითოეული მიმართულება მოიცავს შეფასების სფეროებს: 1-ლი მიმართულება – 4-ს, მე-2 მიმართულება – 2-ს, მე-3 მიმართულება – 2-ს და მე-4 მიმართულება – 2-ს. ჯამში 10 შეფასების სფეროა.

შემცირდა შესაფასებელი დებულებების რაოდენობა. რის ხარჯზე? პუნქტები, რომელიც ადრინდელი თვითშეფასების კითხვარში გვქონდა, თემატურად გამთლიანდა და შეფასების სფეროში მოექცა. შესაბამისად, მასწავლებელს იმ შეფასების სფეროს მიხედვით უწევს საკუთარი თავის შეფასება, რომელიც აერთიანებს ამ პუნქტებს. ასეთი სულ 10 სფეროა, ანუ მასწავლებელს, საკუთარი საქმიანობის შეფასება, 120 პუნქტის ნაცვლად, მხოლოდ 10 „პუნქტით“ – შეფასების სფეროს მიხედვით – მოუწევს.

რაც შეეხება პუნქტებს, ისინი არსად არ წასულა. მათ უბრალოდ შეიცვალეს ფუნქცია და ე.წ. ინდიკატორებად იქცნენ. როდესაც მასწავლებელი მუშაობს კონკრეტული შეფასების სფეროზე, მას ეკრანზე გამოუჩნდება იმ ინდიკატორების ჩამონათვალი, რომლებიც დამხმარე როლს შეასრულებენ მასწავლებლებისთვის. ამ ჩამონათვალის გაცნობის შემდეგ ის უკეთ დაინახავს, კონკრეტულად რას მოიცავს ესა თუ ის სფერო, რა აქტივობების და რა ტიპის საქმიანობის შესრულებას მოითხოვს მისგან, როგორ აისახება ეს ყველაფერი მოსწავლეებზე. ამ ჩამონათვალში გაერთიანებულია მასწავლებლისა და მოსწავლის ქცევა. ვფიქრობთ, ეს უფრო გაუადვილებს მასწავლებელს საკუთარი თავის შეფასებას, უფრო კარგად და ნათლად დაანახებს საკუთარ სუსტ და ძლიერ მხარეებს. გარდა ამისა, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი, შემდგომ თვითრეფლექსიის დაწერაშიც დაეხმარება. კიდევ ერთხელ ვიტყვი – 120 პუნქტის ნაცვლად, მასწავლებელი 10 შეფასების სფეროს მიხედვით შეაფასებს საკუთარ საქმიანობას.

თვითშეფასების კითხვარი მთლიანად გადამუშავდა და შეძლებისდაგვარად დაიხვეწა ენობრივადაც. ცხადია, ენობრივ დახვეწაში მხოლოდ სტილისტური თუ კორექტურული ხასიათის შეცდომების გასწორება არ იგულისხმება, მაქსიმალურად ვეცადეთ, მოგვეხსნა ყველანაირი ენობრივი ბუნდოვანება და განგვეტვირთა ტერმინოლოგიისგან. თუმცა, დამეთანხმებით, რომ ზღვარს გადასვლა აქ არ ღირს. მასწავლებლები განათლების სფეროს ემსახურებიან, ხოლო ამ სფეროში დამკვიდრებულია დარგობრივი ტერმინოლოგია, რომელიც ყველასთვის ნაცნობი და გასაგები უნდა იყოს. შესაბამისად, მისი ცოდნა, გარკვეულ დონეზე, მასწავლებლებს მოეთხოვებათ კიდეც. შეძლებისდაგვარად, ისე რომ პროფესიული ჩარჩოებიდან არ გავსულიყავით, ვეცადეთ, მარტივი და გასაგები ენით მიგვეწოდებინა მასწავლებლისთვის კითხვარის შინაარსი.

დაიხვეწა შეფასების სქემაც. როგორც თავში აღვნიშნე, პრობლემას ქმნიდა ის, რომ იყო ერთი, უნიფიცირებული, ოთხდონიანი რუბრიკა. ახლა კი ასეთი ოთხდონიანი რუბრიკა შეიქმნა თითოეული შეფასების სფეროსთვის და გვაქვს, ერთის მაგივრად, ათი რუბრიკა, რომლებიც მორგებულია კონკრეტული შეფასების სფეროს შინაარსს. ცხადია, ყველა ეს შეფასების რუბრიკა ერთი პრინციპითაა აგებული. მათში ასახულია როგორც რაოდენობრივი (ინტენსივობა/სიხშირე), ისე თვისებრივი (ხარისხი/შედეგი) მაჩვენებელი.

რაც შეეხება თვითრეფლექსიებს, მასწავლებლების ინტერესების გათვალისწინებით, შევამცირეთ და თითოეული შეფასების სფეროსთვის დავტოვეთ თითო რეფლექსია, სადაც მასწავლებლები აანალიზებენ საკუთარ საჭიროებებს და სახავენ მათი აღმოფხვრის გზებს. რომ შევაჯამოთ, განსხვავება ის არის, რომ ცვლილებამდე მასწავლებლებს, ჯამში, თექვსმეტი რეფლექსიის წერა უხდებოდა, ახლა კი ეს რაოდენობა ათამდე შემცირდა. გარდა ამისა, მასწავლებლებს ექნებათ სპეციალური ინსტრუქცია, რომელშიც სხვა რჩევებთან ერთად მასწავლებლებს შევთავაზებთ კომპონენტებისა და კითხვების სარეკომენდაციო ჩამონათვალს, რომლებიც მათ თვითრეფლექსიის სწორად აგებაში დაეხმარება.

– როგორც აღნიშნეთ, მთლიანად იცვლება თვითშეფასების კითხვარის ინტერფეისი, როგორი იქნება ის და რა ძირითადი მახასიათებლები აქვს?

– ინტერფეისი ძირეულად შეიცვალა. საქმე ის არის, რომ მთელი თვითშეფასების კითხვარი მოთავსდება ერთ გვერდზე. მარტივად გეტყვით რას აკეთებს მასწავლებელი: როცა ის იწყებს კონკრეტულ შეფასების სფეროზე მუშაობას, მას ეკრანზე გამოუჩნდება შესაბამისი ინდიკატორები, ხოლო იქვე განთავსებულ 4-დონიან შკალაზე შესაბამის გრაფასთან (1, 2, 3...) კურსორის მიტანისას მას შეუძლია გაეცნოს შესაბამისი დონის აღწერას შეფასების კონკრეტულ სფეროსთან მიმართებით. როცა მასწავლებელი მიიღებს გადაწყვეტილებას და მონიშნავს რომელიმე დონის შესაბამის გრაფას, მან უნდა დაწეროს თვითრეფლექსია სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. სიმბოლოთა რაოდენობა არ არის შეზღუდული.

– როდის დაიწყებენ მასწავლებლები თვითშეფასების კითხვარის შევსებას, რჩებიან თუ არა ფასილიტატორები მასწავლებლის მთავარ დამხმარედ ამ პროცესში?

– ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, პროცესი გაჭიანურდა და ცოტა მეტი დრო დასჭირდა კითხვარის დამტკიცებას, ვიდრე ველოდებოდით. ახლა კი ყველაფერი მზადაა, სახეცვლილი კითხვარი დამტკიცებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და პროგრამულად დასამუშავებლად გადაეცა განათლების მართვის ელექტრონულ სისტემას. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მის ელექტრონულ ვერსიაზე, რომელიც განთავსდება eschool-ის სისტემაში. დაახლოებით ორ კვირაში, მაქსიმუმ, მასწავლებლები უკვე შეძლებენ კითხვარზე მუშაობის დაწყებას. შევსების ვადებს თავად სკოლა განსაზღვრავს დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

რაც შეეხება ფასილიტატორს, ამ მხრივ არაფერი შეცვლილა – ის კვლავ რჩება მასწავლებლის დამხმარედ მთელ ამ პროცესში. სავარაუდოდ, კვირის ბოლოდან ცენტრის ტრენერ-კონსულტანტები დაიწყებენ ინტენსიურ სამუშაო შეხვედრებს ფასილიტატორებთან თვითშეფასების განახლებული კითხვარის სქტრუქტურისა და შინაარსის გაცნობის მიზნით.

– თუ გვაქვს სკოლები, სადაც მასწავლებლებს არ აქვთ თვითშეფასების კითხვარზე ელექტრონული წვდომა, ამ შემთხვევაში, როგორ შეავსებენ კითხვარს?

– ინტერნეტის პრობლემა ზოგიერთ რეგიონში, რა თქმა უნდა, არის, თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, საბოლოო ჯამში, ყველა მასწავლებელმა მოახერხა კითხვარის შევსება. მართალია, იყო შეფერხებებიც, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, რომ ამ მიზეზით რომელიმე მასწავლებელმა ვერ მოახერხა თვითშეფასების კითხვარის შევსება. სხვა საკითხია, როგორ და რა პირობებში ხდებოდა კითხვარის შევსება, რადგან მასწავლებლებს საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპეტენციების ფლობასთანაც აქვთ პრობლემები და მათ სკოლის საინფორმაციო მენეჯერები ან სხვა მასწავლებლები ეხმარებოდნენ. სამწუხაროდ, ეს პრობლემა ასე მალე ვერ აღმოიფხვრება და ვფიქრობ, წელსაც პრობლემად დარჩება, ამას სხვაგვარად მიხედვა სჭირდება.

– რამდენად ობიექტურად აფასებენ მასწავლებლები საკუთარ პროფესიონალიზმს და, შესაბამისად, სწორად გეგმავენ თუ არა სამოქმედო გეგმას – საჭიროებებს?

– თვითშეფასება თვითშეფასებისთვის, მხოლოდ აქტივობის განსახორციელებლად, რასაკვირველია, ყოველგვარ აზრს მოკლებულია. სწორად დაგეგმილი ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა არის შემდგომი ნაბიჯი, რაც თვითშეფასების კითხვარის შევსებას უნდა მოჰყვეს. სამოქმედო გეგმის ადეკვატურად და გააზრებულად შედგენა, შემდგომში კი მისი განხორციელების შეფასება, ასევე ამ პერიოდში მასწავლებლების მაქსიმალური ხელშეწყობა და მათ საჭიროებებზე მორგებული დახმარება ამ პროცესის ქვაკუთხედია. ჩვენი აზრით, სქემაში ამ პროცესის მთლიანობა უფრო კარგად უნდა გამოიკვეთოს, ამიტომ ვგეგმავთ გარკვეულ ცვლილებებს ამ მიმართულებით. მოგეხსენებათ, კრედიტ-ქულების მოპოვების გზებიც უფრო მრავალფეროვანი ხდება, აქტივობების სპექტრიც ფართოვდება და ვფიქრობ, კარგად მოხერხდება პროცესში მათ საჭიროებებზე მორგებული საქმიანობების ინტეგრირება.

ობიექტური თვითშეფასება, პირველ რიგში, თავად მასწავლებლის ინტერესს უნდა წარმოადგენდეს, რადგან სწორად დაგეგმილი სამოქმედო გეგმა და შემდგომში მისი განხორციელება, პროფესიულ განვითარებასთან ერთად, კრედიტქულების მოპოვების საწინდარი და კარიერული წინსვლის წინაპირობაა.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

ინოვაციის კონკურსი სკოლის მოსწავლეებისთვის

ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა, სკოლის მოსწავლეებისთვის, 2016-2017 წლის ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი გამოაცხადა. მისი მიზანია, საქართველოს მასშტაბით, გამოავლინოს სამი საუკეთესო გუნდი, რომლებიც წარმოადგენენ პროექტებს ინოვაციების, ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო სფეროში. პირველ ადგილზე გასული გუნდი, 2017 წლის აპრილში, გაემგზავრება NASA-ში, აშშ-ში.

კონკურსი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების სფეროში, ახალგაზრდებში ინოვაციური იდეებისა და პროექტების განხორციელების წახალისებას ემსახურება. კონკურსის ერთ-ერთი მიზანია გამარჯვებულების წარმატებულ მეცნიერებთან და კერძო სექტორთან დაკავშირება. წელს, კერძო სექტორთან პარტნიორობის ფარგლებში, კონკურსის მეგობარი გახდა კომპანია „ჯეოსელი“.

კონკურსში მონაწილე მოსწავლე დაბადებული უნდა იყოს 1998 წლის 2 აპრილიდან 2004 წლის 1 აპრილის ჩათვლით. მონაწილეობის მისაღებად გუნდს შეუძლია წარმოადგინოს პროექტი შემდეგი საკონკურსე კატეგორიიდან ერთ-ერთში: „კოსმოსი და ავიაცია“; „ჯანდაცვა და კვება“; „კიბერტექნოლოგიები და უსაფრთხოება“; „გარემოს დაცვა“, „ენერგეტიკა და კლიმატის ცვლილება“; „მობილური ტექნოლოგიები და აპლიკაციები“.

აპლიკაციების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 18 ოქტომბერი

კონკურსი ხორციელდება ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ აშშ-ს საელჩოს და კომპანია „ჯეოსელის“ ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით.

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი უკვე ორჯერ, 2014-15 და 2015-16 წლებში, განხორციელდა და მასში მონაწილეობა მიიღო 153-მა გუნდმა საქართველოს ცხრა რეგიონიდან. გამარჯვებულმა გუნდებმა – „მულტიკლიმატიზატორი“ და „სოლარი“ – მონაწილეობა მიიღეს, აშშ-ში, კონრადის ფონდის ინოვაციების სამიტში, NASA-ს კენედის ცენტრში, ფლორიდაში.

ინფორმაცია

ინვესტიცია პროფესიული განათლებისთვის

ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა, „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ პროექტის ფარგლებში, პროფესიული განათლების განვითარების საგრანტო კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოების ღონისძიება გამართა. საგრანტო კონკურსი დაფინანსებულია აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მიერ.

ღონისძიება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში იან კელიმ, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ ნენსი ლიმ და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს აღმასრულებელმა დირექტორმა მაგდა მაღრაძემ გახსნეს.

ალექსანდრე ჯეჯელავა: *პროფესიული განათლების პრობლემის მოგვარებით მოგვარდება უმაღლესი განათლების სისტემაში შექმნილი პრობლემები.*

გამარჯვებული პროექტების მეშვეობით, შეიქმნება და განახლდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად პროგრამები, რომლებიც მოთხოვნადია კერძო სექტორის მიერ შემდეგ დარგებში: საზღვაო, საინჟინრო, ტურიზმი, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ავიაცია და სოფლის მეურნეობა. ათიდან, ოთხი პროექტი განხორციელდება საქართველოს რეგიონებში, ხოლო დანარჩენი – თბილისში. ათი პროექტის მთლიანი ბიუჯეტია 19.6 მილიონი აშშ დოლარი, საიდანაც 12 მილიონი აშშ დოლარი წარმოადგენს საგრანტო თანხას, ხოლო დანარჩენი – კერძო სექტორის თანადაფინანსებას.

ალექსანდრე ჯეჯელავა: *„ქართველი ახალგაზრდები უნდა გაიყოს ორ ნაწილად. ის ნაწილი, რომელიც პროფესიულ განათლებას აირჩევს, უფრო დიდი უნდა იყოს. პროფესიული განათლების პრობლემის მოგვარებით მოგვარდება უმაღლესი განათლების სისტემაში შექმნილი პრობლემები.*

უმაღლეს განათლებას ნაკისრი ჰქონდა პროფესიული განათლების ფუნქციაც და ამიტომ შეიქმნა ის პრობლემები, რომლებიც დღესაც გვხდება. ზოგადი განათლების ბედიც დამოკიდებულია პროფესიული განათლების განვითარებაზე, ვინაიდან სკოლის მოსწავლეებსაც უნდა ესმოდეთ და ხედავდნენ, რა პერსპექტივა აქვთ მომავალში. მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი დასაყრდენია განათლების რეფორმა და ამ რეფორმაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროფესიულ განათლებას. ის ათი პროფესიული პროექტი, რომელიც დაფინანსდა, მთლიანად განათლებასთან დაკავშირებულ პროფესიებს განავითარებენ. გაჩნდა ათი არაჩვეულებრივი სასწავლო დაწესებულება, სადაც ჩვენს შვილებს შეუძლიათ მაღალი საერთაშორისო ხარისხის კვალიფიკაცია მიიღონ, დასაქმდნენ და თვითრეალიზებულები იყვნენ.“

„წელს არის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავი და ამ ხნის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მხარს უჭერს საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების იდეას, ზოგადად, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს კონკრეტული პროგრამა ამ მხარდაჭერის ურყევი ნაწილია. – ასე შეაფასა ამერიკის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში **იან კელიმ**, *ათასწლეულის გამოწვევის ფონდის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ პროექტის ფარგლებში, პროფესიული განათლების განვითარების საგრანტო კონკურსი და მისი შედეგები – ისეთ ქვეყნებს, როგორიც საქართველოა, დამსაქმებლის მოთხოვნების შესავსებად არ ჰყავს საკმარისი მუშახელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალთა თანაფარდობის პრობლემა და ქალბატონების მიერ ტექნოლოგიების სფეროზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. თუ ეს დანაკლისი შეივსება, ეს კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, რათა მათ ჩადონ უფრო მეტი ინვესტიცია ამ ქვეყანაში. ეს იქნება ნიშანი იმისა, რომ საქართველო მზად არის და ღიაა ბიზნესის საწარმოებლად. ბაზრის ანალიზი გვიჩვენებს, რომ არსებული დანაკლისები შეიძლება შეივსოს პროფესიული განათლებით.*

იან კელი: *განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალთა თანაფარდობის პრობლემა და ქალბატონების მიერ ტექნოლოგიების სფეროზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. თუ ეს დანაკლისი შეივსება, ეს კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის.*

საქართველოს მთავრობამ ძალიან დიდი გზა გაიარა პროფესიული განათლების სექტორის რეფორმის თვალსაზრისით და ამ სეგმენტის განვითარება გრძელდება. ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ ინიციატივას და გრანტი, რომელიც გაიცა მთლიანად მიმართულია ინოვაციური და ტექნოლოგიური მიმართულებების გასაუმჯობესებლად.“

კონფერენცია

ინკლუზიური განათლების გამოწვევები – როგორ გავზარდოთ ჩართულობა და განათლების ხარისხი

ლალი ჯელაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ბრიტანეთის საბჭოს (British Council) ორგანიზებით, ინკლუზიურ განათლებაზე კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიმდინარე საქმიანობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა, სადაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი, ინკლუზიური განათლების პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელებისა და სკოლებში ინკლუზიური კულტურის ჩამოყალიბების მნიშვნელობას.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, სამწუხაროდ, მთელ მსოფლიოში, დღემდე ჯერ კიდევ რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფს წარმოადგენენ, ისინი შეიძლება გარიყვის მსხვერპლნი გახდნენ საგანმანათლებლო თუ სხვა სისტემებიდან. მიუხედავად ამისა, ქვეყნები მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმით, თუ როგორ ებრძვიან პრობლემას. როგორია ინკლუზიური განათლების პოლიტიკა საქართველოში, ამის შესახებ ინკლუზიური განათლების სამმართველოს უფროსმა **ეკატერინე დგებუაძემ** ვრცელი პრეზენტაცია გააკეთა და ისაუბრა კონფერენციის მიზნებზე: *„კონფერენციის მიზანია ვისაუბროთ განათლების სისტემაში ინკლუზიური განათლების მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე, საქმიანობასა და პროექტებზე, რომელსაც განათლების სამინისტრო ახორციელებს. ჩვენი მიზანია, რომ სკოლის დირექტორებმა და გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა გაიზიარონ ის პოლიტიკა, რომელსაც განათლების სისტემა ინკლუზიური მიმართულებით ახორციელებს. ძალიან მნიშვნელოვანია იმ ნაბიჯებისა და აქტივობების სწორად დაგეგმვა, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას. დღესდღეობით განათლების სისტემა ავითარებს სხვადასხვა რესურსებს, პროგრამებს, სატრენინგო მოდულებს, რომელშიც მასიურად არ არიან ჩართული სკოლები, მასწავლებლები. ჩვენი მიზანია, დღევანდელი კონფერენციით ინფორმაცია მივაწოდოთ როგორც სკოლის ადმინისტრაციას, ისე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო აქტიურად დავგეგმოთ პროცესები, სხვადასხვა პროექტები და ვისაუბროთ გამოწვევებზე, რომლებიც როგორც პოლიტიკის, ისე სკოლის დონეზე არსებობს სისტემაში.“*

კონფერენცია განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **ალექსანდრე ჯეჯელავამ** გახსნა და აღნიშნა, რომ ეს თემა მისთვის არაერთგვაროვან ემოციებთანაა დაკავშირებული: *„ერთი მხრივ, მიხარია და ვამაყობ იმით, რაც ჩვენ და თქვენ შევძელით გაგვეკეთებინა. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ათასობით ახალგაზრდა შეუერთდა საგანმანათლებლო სისტემას სხვადასხვა ნაწილში – ზოგად განათლებაში, უმაღლესსა თუ პროფესიულში – უდავოდ სასიხარულო და საამაყოა. ერთი ადამიანის ცხოვრება რომ შევცვალოთ უკეთესობისკენ, ისიც კი ღირს ყველა დანახარჯად და შრომად, რასაც ჩვენ გავწევთ, მით უფრო, როცა ათასობით ადამიანზეა საუბარი. მეორე მხრივ, ხშირად ვსაუბრობთ ამ თემაზე და ძალიან გულდასაწყვეტია, რომ შეზღუდულია ჩვენი რესურსები და შორს ვართ იმისგან, რასაც უნდა ვაკეთებდეთ ჩვენი თანამემამულეების – სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებისთვის. ამ მიმართულებით მრავალი წლის განმავლობაში მოგვიწევს სერიოზული მუშაობა. თუმცა, მოხარული ვარ, რომ სამთავრობო გუნდისთვის, მათ შორის განათლების სამინისტროსთვის, ინკლუზიური განათლება განათლების სისტემის განვითარების ერთ-ერთი მიმართულება არ არის. როგორ განვავითარებთ ინკლუზიურ განათლებას და როგორ შევძლებთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინტეგრაციას ჩვენს სისტემაში ეს ჩვენი ღირსების საკითხია, როგორც ერის და როგორც ხალხის. გვექნება თუ არა მართლაც ევროპული დემოკრატია და შეგვეძლება თუ არა, თავს ვუწოდოთ ცივილიზებული, ეს ბევრადაა დამოკიდებული ინკლუზიური განათლებისადმი ჩვენს მიდგომაზე. ამიტომ, ვფიქრობ, რომ, ინკლუზიური განათლების განვითარების მხარდაჭერა, მათ შორის მატერიალურიც, იქნება კარგი გაგებით არაპროპორციული ჩვენი საერთო განვითარებისა. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში თქვენ დაინახავთ საკითხის პრიორიტეტულობას კონკრეტულად საქმეში.*

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც მინდა ყურადღება გავამახვილო და რაზეც ვსაუბრობ სკოლებთან თუ მთავრობის წევრებთან, ის არის, რომ ინკლუზიური განათლების თემა არ ეხება მხოლოდ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს. ყველა მოსწავლე საქართველოში, ვისაც ეყოლება სპეციალური საჭიროების მქონე კლასელი ან ჯგუფელი, მერწმუნეთ, უბრალოდ, უკეთესი ადამიანი, სრულფასოვანი მოქალაქე და საზოგადოების სრულფასოვანი წევრი იქნება. როდესაც ციფრებზე საუბრობენ, ხანდახან ხაზს უსვამენ, რომ ამ მიმართულებით საუბარია ადამიანების შეზღუდულ რაოდენობაზე. ეს ასე არ არის. მთელი საქართველო, ყველა ახალგაზრდა (და არა მხოლოდ ახალგაზრდა) მოიგებს იმით, რასაც ჩვენ ვაკეთებთ ინკლუზიური განათლების მიმართულებით. ამიტომ ეს მიმართულება უნდა განვავითაროთ. გასაგებია, რომ ჩვენი რესურსი – მატერიალური, ადამიანური თუ ცოდნის – შეზღუდულია, რომ სკოლები, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები არ არიან დახელოვნებული ამ საკითხებში და ბევრი რამ სრულფასოვნად ვერ კეთდება (ეს ყოველთვის ასეა, როცა რაღაცას ვიწყებთ), მაგრამ მაინც მინდა იმედი გამოვთქვა, რომ ჩვენი მეგობრების დახმარებით, სულ რამდენიმე წელიწადში, შევძლებთ იმის თქმას, რომ შორს წავედით იმასთან შედარებით, სადაც დღეს ვართ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც ჩართულია ამ პროცესში – არასამთავრობო სექტორიდან, სასწავლო დაწესებულებების, მთავრობის თუ უცხოელი პარტნიორების მხრიდან და კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ ამ კონფერენციის შედეგი ერთი ადამიანის ცხოვრების შეცვლა რომ იყოს, ესეც ღირს ყველა დანახარჯად და შრომად, რომელსაც ჩვენ გავწევთ. მინდა დავპირდე საზოგადოებას, რომ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ შშმ ბავშვებს სრულფასოვანი განათლების მიღების საშუალება ჰქონდეთ – ეს არ არის ადვილი, მაგრამ აუცილებლად შევძლებთ“.

კონფერენციაზე ითქვა ისიც, რომ ინკლუზიური განათლების პოლიტიკაზე საუბარი უკვე პროგრესის მაჩვენებელია. *„როცა იწყებოდა ეს მიმართულება, საუბარი იყო ცალკეულ შემთხვევებზე, დღეს სისტემა ემზადება განვითარებისთვის. ინკლუზიური განათლების პოლიტიკა ნამდვილად საჭიროებს განვითარებას* – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ, **ლია გიგაურმა**. *– მნიშვნელოვანი პროგრესი გვაქვს, მაგრამ ეს არ არის ის ნიშნული, საითკენაც მივისწრაფით. გასაკეთებელი მართლაც ბევრია – ინკლუზიური კულტურა, ინკლუზიური სასკოლო გარემო. სასკოლო საზოგადოების მზაობა სრულფასოვანი ინკლუზიისათვის, რა თქმა უნდა, არ მიიღწევა ერთ დღეში და არც ერთ წელიწადში. მას საზოგადოების მომზადება სჭირდება. თუ ადრე ვსაუბრობდით იმაზე, რომ მოსწავლეები შეგვეყვანა სკოლებში, ახლა ვსაუბრობთ იმაზე, როგორ გახდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის სკოლა განვითარების საუკეთესო ადგილი, როგორ გავზარდოთ განათლების ხარისხი, როგორ შევძლოთ, რომ ჩართულობა შედეგების ადეკვატური იყოს და არა ფორმალური; რომ სსსმ და შშმ მოსწავლეები იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, ყოველგვარი დისკრიმინაციისა თუ განსაკუთრებული პოზიტიური მიდგომების (რაც პოზიტიურ დისკრიმინაციად აღიქმება) გარეშე, არამედ იყვნენ თანაბარნი ყველა მოსწავლესთან და ჰქონდეთ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალება, განურჩევლად მათი საჭიროებებისა და შესაძლებლობების სპექტრისა. ამ მიმართულებით ძალიან დიდი სამუშაოები გატარდა. მე აქ ვხედავ სკოლის დირექტორებს, სადაც დიდი ხანია, მიმდინარეობს პროექტი. ასევე – იმ დირექტორებსაც, სადაც სულ ახლახან დაიწყო პროექტი. კარგად ვიცი, რა პრობლემებს ვაწყდებით თითოეულ მოსწავლესთან მუშაობაში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. თითოეულ მასწავლებელს, დირექტორს, მოსწავლეს და ყველა მოსწავლის მშობელს, არის თუ არა მისი შვილი სსს მქონე, სჭირდება ცნობიერების ამაღლება. ყველამ ერთად უნდა ვისწავლოთ, როგორ გავხდეთ უფრო მიმღებები და ჩართულები, რადგან ჩვენი საზოგადოება გადადის ცნობიერების ახალ ეტაპზე, რომელსაც ინკლუზიური ცნობიერება ჰქვია.“*

ბრიტანეთის საბჭოს დირექტორმა საქართველოში **ზაზა ფურცელაძემ** ხაზი გაუსვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ბრიტანეთის საბჭოს მრავალწლიან წარმატებულ თანამშრომლობას. თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებოდა. ბოლო წლებში შეეხო ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა: მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების სქემის შემუშავება და ტრენერთა და მასწავლებელთა გადამზადება, ელექტრონული რესურსების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, განათლების საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობა და სხვ. *„მიხარია, რომ წარმატებული თანამშრომლობის ტრადიცია გრძელდება და მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება ინკლუზიური განათლების თემას ეხება. ჩვენ, როგორც კულტურული ურთიერთობების მხარდამჭერი ორგანიზაცია, სრულად ვიზიარებთ თანაბარი შესაძლებლობების, ინკლუზიურობის და მრავალფეროვნების პრინციპებს. უფრო მეტიც, ეს პრინციპები მთელი ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამიტომ, ვფიქრობ, კონფერენციას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს.“* – აღნიშნა ზაზა ფურცელაძემ.

გაეროს ბავშვთა ფონდის კონსულტანტი შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებში **მაგული შაღაშვილი** მიიჩნევს, რომ ინკლუზიური განათლების დანერგვის მიმართულებით კარგი ნაბიჯები ნამდვილად გადადგმულია, მაგრამ მნიშვნელოვანია დადგინდეს განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების რაოდენობა. სამწუხაროდ, დღესდღეობით, ასეთი სტატისტიკა არ არსებობს, არ ვიცით ჯერ კიდევ რამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვია ზოგადი განათლების მიღმა. მისი აზრით, სწორედ ეს სისტემა უნდა გააძლიეროს სახელმწიფომ, უნდა მოიძიოს ასეთი ბავშვები და ჩართოს საგანმანათლებლო სისტემაში. მნიშვნელოვანია პრობლემის მოგვარება, რომლის წინაშეც დგანან საქართველოში მშობლები – ტრანსპორტის და სასკოლო გარემოს ადაპტირება. სკოლა უნდა იყოს ხელმისაწვდომი არა მხოლოდ ეტლით მოსარგებლე, არამედ სენსორული დარღვევების მქონე ბავშვებისთვისაც. ქალბატონი მაგული მიიჩნევს, ისე უნდა წაახალისოს სახელმწიფომ ოჯახები, რომ თვითონ დაუკავშირდნენ მულტიდისციპლინურ გუნდებს, ბავშვის ჩართვის მოთხოვნით, ხოლო განსაკუთრებით მძიმე ფიზიკური თუ გონებრივი დარღვევების მქონე მოსწავლეებს განათლების სახლში მინდობების სერვისი უნდა შესთავაზოს, თუმცა, ვისაც შეუძლია სკოლაში სიარული, განათლებას აუცილებლად სკოლაში უნდა იღებდეს.

„საქართველოში ინკლუზიური განათლება დიდი ხანია მიმდინარეობს. ეს ერთგვარი შემაჯამებელი კონფერენცია იმისთვისაა გამიზნული, რომ დავინახოთ დღევანდელი ვითარება, რა საჭიროებები იკვეთება. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენციაში (24-ე მუხლი) ხაზგასმულია, რომ ყველა ბავშვს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონეს, უფლება აქვს განათლება ჩვეულებრივ საჯარო სკოლაში მიიღოს. ძალიან მნიშვნელოვანია, მოვისმინოთ, დღეს რა კეთდება იმისთვის, რომ ბავშვებს ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა განათლებაზე, იქნება ეს ფიზიკური გარემოს მოწყობა თუ სპეციალიზებული პროგრამების შეტანა, რომ რაც შეიძლება მეტმა ბავშვმა მიიღოს განათლება, რადგან განათლების გარეშე ძალიან ძნელია ვისაუბროთ შემდგომში უკვე შშმ ახალგაზრდების დასაქმებასა და სოციალურ ინკლუზიაზე.“ – აღნიშნა მაგული შაღაშვილმა.

კონფერენციას დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში **ჯასტინ მაკენზ სმიტი** ესწრებოდა. ელჩმა ქართულ-ბრიტანულ ურთიერთობებს თბილი, სასურველი და მრავალფეროვანი უწოდა, ხოლო ბრიტანეთსა და საქართველოს შორის საგანმანათლებლო კავშირებს – ძალიან მნიშვნელოვანი.

კონფერენციაზე განიხილეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანერგილი სპეცია-

კონფერენცია

ლური საგანმანათლებლო სერვისების საჭიროება და სასწავლო გეგმების მნიშვნელობა, სკოლის მიღმა დარჩენილი მოსწავლეების, ასევე სკოლის მიღმა დარჩენის მაღალი რისკის ქვეშ მყოფ მოსწავლეთა მიმართ პრევენციის მექანიზმის განვითარების საკითხი. ბრიტანეთის საბჭოს მხარდაჭერით, კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს ბრიტანელი კონსულტანტის **დევიდ ქრებთრის** ლექციები თემებზე: *„დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა და პრაქტიკა“*, *„ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმები“* და *„10 მიდგომა ინკლუზიისადმი“*.

ერთ-ერთი პრეზენტაცია მან დიდი ბრიტანეთის გამოცდილებას მიუძღვნა და კონფერენციის მონაწილეებს გააცნო, როგორ მივიდა ქვეყანა პოლიტიკიდან პრაქტიკამდე. ბრიტანული პოლიტიკა და პრაქტიკა გამოცდილებას, კანონმდებლობასა და მონაცემებს ეყრდნობა – *„უთანასწორობა ხშირად ორგანიზაციული კულტურის ნაწილია და, ხშირ შემთხვევაში, ტრადიციული მეთოდების კრიტიკის გარეშე მიღების მიზეზი. ასეთი უსამართლობის აღმოფხვრისთვის საჭიროა ამ უთანასწორობის არსებობის აღიარება და შესაბამისი ქმედება, რათა ის საზოგადოების, კულტურისა და ეთნოსის ფართოდ გავრცელებულ ნაწილად არ დარჩეს“*. გვაქვს თუ არა სურვილი, ყველა მოსწავლეს ჰქონდეს კარგი მოსწრება? უზრუნველვყოფთ თუ არა ყველა მოსწავლისთვის, თუნდაც საშუალო დონეზე, სწავლებას? არის თუ არა ჩვენი სწავლება დაფუძნებული მოსწავლეების საჭიროებების ანალიზზე და მათი წინსვლის მონიტორინგზე, მათივე შესაძლებლობებთან და შედეგებთან მიმართებაში? ვაფასებთ თუ არა სწავლების ეფექტურობას, რათა დავაკმაყოფილოთ მოსწავლეთა მრავალმხრივი საჭიროებები? ზრუნავს თუ არა ჩვენი სკოლის მმართველი გუნდი საუკეთესო სწავლების უზრუნველყოფაზე, რათა დავაკმაყოფილოთ მოსწავლეთა მრავალმხრივი საჭიროებები? ვახორციელებთ თუ არა სწავლებაში დროულ ცვლილებებს იქ, სადაც შეფასება გვიჩვენებს ამის საჭიროებას? – ეს კითხვებია, რომლებიც, დევიდ ქრებთრის რჩევით, ყველა სკოლაში უნდა დაისვას.

ბრიტანელი კონსულტანტის მოხსენება „ინდივიდუალური საგანმანთლებლო გეგმები“ დეტალურად აღწერს ინკლუზიურ და სპეციალურ საჭიროებებს, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და მათი განხორციელებისათვის საჭირო ქმედებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დაგეგმვის, სწავლებისა და გადასინჯვის ინსტრუმენტია, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს თითოეული მოსწავლისათვის სათანადო ზომების მიღების პროცესი და უნდა მოიცავდეს მხოლოდ იმ დამატებით და განსხვავებულ პუნქტებს, რაც ყველა ბავშვისთვის განკუთვნილ დიფერენცირებულ სასწავლო გეგმაში ასახული არ არის.

ათი მიდგომა ინკლუზიური პრაქტიკისადმი დევიდ ქრებთრის მიხედვით: აღკვეთეთ ხმაური; აღნიშნეთ მრავალფეროვნება; აწარმოეთ სწავლების შეფასებები; უზრუნველყავით სათანადო სივრცე; გამოიყენეთ მულტისენსორული და მულტიმოდალური მიდგომები; მკაფიოდ განსაზღვრეთ სასწავლო შედეგები; დაიწყეთ იმასთან კავშირით, რაც უკვე ნაცნობია; უზრუნველყავით საფეხურებრივი (Scaffold) სწავლება; განასხვავეთ; წინასწარ დაგეგმეთ ხელმისაწვდომობა.

ინფორმაცია

12-მილიონიანი პროექტი დასრულდა

აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის განვითარებისთვის საქართველოს მთავრობამ 12 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა. ეს თანხა მოხმარდა ინფრასტრუქტურულ, აღჭურვით და პროგრამული უზრუნველყოფისათვის აუცილებელ სამუშაოებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი, რომელზეც სტუდენტთა პირველი მიღება 2014-2015 წლისთვის განხორციელდა, ფუნქციონირებას ახალ, თანამედროვე, უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სასწავლო კორპუსში გააგრძელებს, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ მეცნიერებთან ერთად გახსნა.

ალექსანდრე ჯეჯელავა: *„აგრარული სფერო ჩვენი ეკონომიკისა და დასაქმების ძალიან მნიშვნელოვანი დასაყრდენია. მთელ მსოფლიოში სოფლის მეურნეობა უხეშ ძალას კი არ ეყრდნობა ან მძიმე შრომას, არამედ – ტექნოლოგიებს. ჩვენი მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს და ჩვენ გვჭირდება ისეთი სოფლის მეურნეობა, რომელიც სამეცნიერო მიღწევების გამოყენებით მოსავლიანობას, პროდუქტის დამუშავების პროცესსა და ხარისხს აამაღლებს. მით უმეტეს, როცა საუბარია ევროპულ ბაზარზე ინტეგრირებაზე და ძალიან მდიდარი შესაძლებლობები ეხსნება ქართულ სოფლის მეურნეობის სფეროს ექსპორტისთვის. თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ პროდუქცია მაღალი ხარისხის იქნება. სწორედ მაღალი ხარისხის პროდუქტის და პროდუქტიული სოფლის მეურნეობის განვითარებას სჭირდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც მოამზადებს, ამ შემთხვევაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მიმართულება.*

წლების განმავლობაში, აგრარული მიმართულება არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი, შემდეგ ის სხვა სასწავლო დაწესებულებას შეერწყა და ბაზარზე, ფაქტობრივად, ერთადერთი მომწოდებელი იყო, რამაც, ბუნებრივია, ხარისხზე კარგად არ იმოქმედა. გვიხარია, რომ ისევ კონკურენციის რეჟიმში ვბრუნდებით, ანუ ქართველ სტუდენტებს, ვისაც აინტერესებთ სოფლის მეურნეობა, საშუალება ექნებათ, აირჩიონ, სად მიიღონ შესაბამისი განათლება.



ასეთი აღჭურვილი ცენტრი ჩვენ სხვა არ გვაქვს, შესაბამისად, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება სტუდენტების მოზიდვისთვისაც. მოგეხსენებათ, ახალგაზრდას თანამედროვე გარემოში სურს სწავლა, ცოდნის მიღება და სტუდენტობის გატარება. მინდა მივულოცო ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს, ამ პროექტის ავტორებსა და მხარდამჭერებს; მადლობა გადავუხადო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერისა და პარტნიორობისთვის და, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, იმ კოლექტივს, ვინც უნდა გაგვიზარდოს აგრარული მიმართულების მაღალკვალიფიციური სპეციალისტების თაობა“.

ლევან დავითაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი: *„ახალგაზრდები რომ დაინტერესდნენ ამ მიმართულებით და ამ სექტორით, მათ თანამედროვე გარემო სჭირდებათ. სწორედ ამ ტიპის გარემოა შექმნილი ტექნიკურ უნივერსიტეტში. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე, ტექნოლოგიებით აღჭურვილი ფაკულტეტი, ყველა იმ სასოფლო-სამეურნეო სპეციალობის მიმართულებით, რაც დღეს აქტუალურია საქართველოში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს პროექტი მთლიანად სახელმწიფოს მხრიდან ფინანსდება. მსგავსი პროექტები მეტ სტიმულს უჩენს ახალგაზრდებს, რომ აგროსასურსათო სექტორით დაინტერესდნენ, რაც ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი წინაპირობაა“.*

აგრარული მიმართულების ახალი სასწავლებლის შენობაში მოწყობილია ულტრათანამედროვე ლაბორატორიები და ისეთი აღჭურვილობა, რომლის მსგავსი საქართველოში, არა თუ ერთი ფაკულტეტის ფარგლებში, არამედ რომელიმე უნივერსიტეტის ბაზაზეც კი, ჯერ არ არსებობს. სასწავლო კორპუსს ასევე აქვს სივრცე სამეცნიერო კვლევების სანარმოებლად, რომელიც ხელმისაწვდომია არა მხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ ახალგაზრდა მეცნიერებისთვისაც.

გიორგი ქვარცხავა, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი: *„ჩვენს ფაკულტეტს პირველი მიღება 2014 წელს ჰქონდა. ამ დროიდან ვემზადებოდით ახალ ლოკაციაში გადმოსასვლელად. მიმდინარეობდა ინფრასრუქტურული განვითარება, პირველ ეტაპზე – შენობის რემონტი, შემდგომ ეტაპზე – იმ აპარატურის მონტაჟი-ინსტალაცია, რომელიც სახელმწიფოს დახმარებით შევიძინეთ. ამ პროცესმა თითქმის ორი წელი დაიკავა. რასაც ხედავთ, ამად ნამდვილად ღირდა ორი წელი მოცდა.*

დღეს ჩვენ, ალბათ, მთელ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე საუნივერსიტეტო გარემო გვაქვს. მე ვიცი სხვა უნივერსიტეტების შესაძლებლობები და ვერც ვიხსენებ, რომელს შეუძლია, ამ თანამედროვე ტექნოლოგიებით დაიკვეხნოს. თუმცა, ტექნოლოგიები მთლიანად ფაკულტეტისა და უნივერსიტეტისთვის მხოლოდ ერთი კუთხეა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსი, დიდი სამუშაო გავწიეთ სწორედ ამ რეკრუტინგის, ადამიანების მოზიდვის პროცესში და მიმაჩნია, რომ ჩვენი ფაკულტეტი საუკეთესო კადრებითაა დაკომპლექტებული“.

ნინო გაგელიძე, პროფესორი: *„ყველაფერი გაკეთდა სტუდენტებისთვის, რომ მათ ლაბორატორიული სამუშაოები ჩაატარონ და ადგილზე გაიარონ პრაქტიკა, რაც აუცილებელი პირობაა მათი, როგორც პროფესიონალების, ჩამოყალიბებისათვის და შემდგომში სპეციალობით დასაქმებისთვის.*

თანამედროვე აღჭურვილობა აკმაყოფილებს ყველა იმ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც, მთელ მსოფლიოში, მიმდინარეობს კვლევები ამ სფეროში, ეს არის ულტრათანამედროვე ლაბორატორიები: ქიმიის ინსტრუმენტალური, მიკრობიოლოგიის, მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ბოტანიკის, ფიზიკისა და სხვ.“

ახალი სასწავლო კორპუსი „მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალი 2016-ის“ ფარგლებში გაიხსნა და აქვე გაიმართა ფესტივალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება **– „აგრარული მეცნიერების დღე“.** ღონისძიება მოიცავდა აგრარული მეცნიერების თემაზე კონფერენციებს, საჯარო ლექცია-პრეზენტაციებს, ტრენინგებს.

შალვა მაჭავარიანი, კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სამეცნიერო დარგში: *„მიმდინარეობს ერთ-ერთი სექციის მუშაობა, რომელსაც კავკასიის უნივერსიტეტი და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ხელმძღვანელობენ, და, ძირითადად, ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეტანა აგრობიზნესის სფეროში, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ სწავლების დონე და ხარისხი ამაღლდეს, დარგმა მიიღოს კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ძალიან რთული და საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებას შეძლებენ“.*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტში გაერთიანებულია 8 საგანმანათლებლო პროგრამა: მეცხოველეობა, აგრონომია, ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, აგრობიზნესის მენეჯმენტი, სასურსათო ტექნოლოგიები, სატყეო საქმე, აგრარული ტექნოლოგიები და აგროინჟინერია. მათგან 7 პროგრამა სახელმწიფოს მხრიდან სრულადაა დაფინანსებული.

პროფესია პედაგოგი

თანამედროვე მასწავლებლის 10 მახასიათებელი

1. თანამედროვე მასწავლებელი და პროფესიული საზოგადოებები

მასწავლებელი ზოგჯერ მარტო რჩება ძალიან რთული გამოწვევების წინაშე: ხარჯავს მთელ თავისუფალ დროს სკოლაში, სადილის დროსაც თვალწინ ქსეროქსის აპარატი ან ტესტების გასწორება უდგას, თუ გაუმართლა, სკოლაშივე წაიხემსებს მერხზე, რომელზეც შეფასების ფურცლებია მიმოფანტული. მაგრამ, როგორც პროფესიონალმა, მასწავლებელმა უნდა იცოდეს, თუ როგორ ისწავლოს და გაიზარდოს პროფესიულ გაერთიანებებში მონაწილეობით. არც ერთი მასწავლებლის გამოცდილება არ არის უნივერსალური, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი გზაა დიდი იდეებისა და მიზნების განსახორციელებლად კოლეგებს გაუზიაროთ თქვენი მოსაზრებები. თანამედროვე მასწავლებელი თანამშრომლობს ყველასთან, მსოფლიოს მასშტაბით, ონლაინ კონფერენციებისა და სოციალური ქსელების საშუალებით.

2. თანამედროვე მასწავლებელს კარგად უნდა ესმოდეს, თუ როგორ გამოიყენოს ტექნიკა და მისი მიღწევები სწავლების პროცესში

შეიძლება ყოველ წუთს არ ჩავრთოთ ყველა მოწყობილობა ჩვენს კლასში, მუდმივად არც კომპიუტერს მივაჯაჭვოთ მოზარდები, მაგრამ კარგად უნდა გვესმოდეს, როგორ მუშაობს ესა თუ ის ტექნიკა და როგორ სარგებელს მოუტანს მისი აქტიური გამოყენება მოსწავლეებს. ჩვენი სტუდენტები უდავოდ არიან კარგად გარკვეულნი მაღალტექნოლოგიურ სფეროებში და ჩვენც არ უნდა ჩამოვრჩეთ მათ. ბოლოს და ბოლოს უნდა დავიჯეროთ, რომ ახალი აღჭურვილობა, ინსტრუმენტები და პროგრამები გაამარტივებს სამუშაოს, ახალი გზები გამოჩნდება პრობლემების მარტივად მოსაგვარებლად და უკეთ გავართმევთ თავს ახალი დროების მოთხოვნებს.

3. უნდა ვიცოდეთ, სად მოვიძიოთ ჩვენთვის სასარგებლო რესურსები

www.edudemic.com არის ის წყარო, რომელიც ამერიკაში ერთ-ერთი საუკეთესო საგანმანათლებლო რესურსების ნაკრებს გვთავაზობს და ამ მიმართულებით უდავოდ ლიდერია. ეს ვებგვერდი აპირებს კვლავაც მრავალი სტატია მიუძღვნას საგანმანათლებლო სფეროს და შესთავაზოს უამრავი სასარგებლო რესურსი მომხმარებელს. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი საიტი, რომელიც ორიენტირებულია მასწავლებელთა უდიდესი არმიის მომსახურებაზე. პედაგოგებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ და უამრავი სიახლე შეიტყონ შემდეგ საიტებზე: **TeachersPayTeachers, Pinterest და Edutopia**. ამ რესურსების გაცნობითა და გაზიარებით თქვენ გახდებით მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემის ნაწილი. ასევე არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენს სკოლაში არსებობს ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკარი ნამდვილი ექსპერტია სასარგებლო რესურსების მოძიებისას.

4. მონაწილეობა სოციალურ მედიაში

წარსულში მასწავლებელს აკრძალული ჰქონდა პირადი ცხოვრების გასაჯაროება ან საკუთარ ოჯახურ პრობლემებზე საუბარი, ითვლებოდა, რომ მას არ ჰქონდა სკოლისა და ბავშვის გარდა სხვა საზრუნავი, მაგრამ ბევრი რამ შეიცვალა. დღეს ყველა მასწავლებელი გაწევრიანებულია სხვადასხვა ჯგუფსა თუ ინტერნეტქსელში და ამ მედიასაშუალებებს სულ უფრო ხშირად იყენებს ბავშვებთან ან მშობლებთან კომუნიკაციისათვის. რამხელა ძალა აქვს მედიასაშუალებებს იქიდანაც ჩანს, რომ ერთდროულად შეგიძლია დაეკონტაქტო ყველას მისი საშუალებით – სხვა ქვეყანაშიც, მეზობელ ოთახშიც და ნებისმიერ გლობალურ თუ უმნიშვნელო თემაზე მიიღო მყისიერი პასუხი.

5. მთავარია კომუნიკაციის უნარ-ჩვევები

იყო მასწავლებელი დღეს – ნიშნავს იყო დიდებული კომუნიკატორი. შეიძლება იცოდეთ შესანიშნავი საუბარი, გეხერხებოდეთ წერა, კითხვა, გქონდეთ საგნის ღრმა ცოდნა, ამ უნარებს გამოიყენებთ ნებისმიერ პროფესიაში, მაგრამ მასწავლებლობის დროს მთავარია, იყოთ კარგი მსმენელი, გულღია მოსაუბრე, გულწრფელი ღიმილითა და ნათელი სახით დაჯილდოებული! თუ არა ხართ დარწმუნებული, რომ შეგიძლიათ ყოველდღიურად ასობით ადამიანთან, თუნდაც უცნობთან საჯარო კომუნიკაცია, თანაც ისე, რომ ამით სხვისი უფლებები არ შელახოთ, გაითვალისწინოთ თითოეული მათგანის მდგომარეობა, სოციალური სტატუსიცა და რელიგიური შეხედულებებიც, მაშინ დროა, თქვენი საბუთები უკან გაითხოვოთ და სხვა ვაკანსია ეძებოთ.

6. არ შეგეშინდეს თქვა – „არა“

იმისათვის, რომ თქვენც და თქვენმა მოსწავლეებმაც შეინარჩუნოთ საღი აზრი, სწავლის ხარისხი და მოტივაცია, არასოდეს გადატვირთოთ თქვენი პროგრამები იმაზე მეტი აქტივობით, ტესტითა თუ გამოცდით, ვიდრე ამას მოითხოვს საჭიროება. ნუ იტვირთავთ იმაზე მეტ პასუხისმგებლობას, ვიდრე შეგიძლიათ, მაგალითად, ნუ მოინდომებთ სკოლაში არსებულ ყველა კომისიასა თუ საბჭოში გაწევრიანებას, მაინც ვერ მოასწრებთ. ადმინისტრაციას ყოველთვის სურს, რომ კარგი პედაგოგები გამოაჩინოს და ისინი ხშირად გადატვირთული ჰყავს ზედმეტი ადმინისტრაციული მოვალეობებით. ძნელია მასწავლებლისათვის უარის თქმა რაიმე ვალდებულებაზე , მაგრამ მაინც უნდა შეეძლოთ საჭირო დროს თამამად და გარკვევით ვთქვათ – „არა“. გახსოვდეთ, თუ გადაიწვით, ვერც სხვებზე იზრუნებთ და ვეღარც საკუთარ თავზე!

7. აიღეთ ტაიმ-აუტი, გადატვირთეთ – „დაარესტარტეთ საკუთარი გონება“

ნამდვილად უნდა ისწავლოთ „არას“ თქმა. ასევე დროდადრო უნდა დაასვენოთ თქვენი გონება. განიტვირთოთ ყველა ვალდებულებისაგან, არც სოციალურ ქსელებს მიეჯაჭვოთ, არც ტელეფონს... წარმოუდგენელია, მაგრამ ზოგი ცდილობს: ერთ ღამეში უპასუხოს 50 მშობლის წერილს, გადაიღოს და ატვირთოს 150 ფოტო Instagram-ზე, გაეცნოს Twitter-ის სტატისტიკას, არ გამორჩეს მონიტორინგი Facebook-ის ფორუმზე, განაახლოს თავისი ბლოგი და სტატუსები... ამ ყველაფრით თქვენი დრო უფრო იზღუდება და საბოლოოდ მოწყდებით ოჯახს, შვილებს, ახლობლებს... ტექნოლოგიების მიქსი გაძლევთ საშუალებას, მუდმივად იყოთ აქტიურად ჩართული პროცესებში, მაგრამ თან იცოდეთ, როდის გაწყვიტოთ კავშირი.

8. იცხოვრე მრავალფეროვნებით

თანამედროვე მოსწავლეები ხშირად იღებენ თქვენგან „დეზერტირობისა“ და ზარმაცობისათვის მკვახე საყვედურს, დატუქსვას, მაგრამ, როგორც მათ მეგობარს, უნდა გახსოვდეთ, რომ მოზარდი თაობა ყველაზე გონებაგახსნილი, მგრძნობიარე და ლიბერალურია. დაუფიქრებელ საყვედურსა თუ დატუქსვას შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს. დღეს სხვადასხვა რელიგიის, სოციალური სტატუსისა და ეთნიკური წარმომავლობის მქონე ოჯახების ბავშვები ერთად იზრდებიან და ყალიბდებიან. თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა სწორედ ამ მრავალფეროვნებას იყენებს მთავარ ინსტრუმენტად, ცივილიზაციის მთავარ მიღწევადაც თვლის, რომ მოსწავლეები ერთმანეთის ინდივიდუალურ განმასხვავებლებსა და თავისებურებებს აღარ უმზერენ მტრულად, მოიხსნა გაუცხოება აუტისტური სპექტრისა თუ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მიმართაც. ვიზეიმოთ მრავალფეროვნება!

9. განაგრძე ცოდნის შეძენა სიცოცხლის ბოლომდე

მოდი, შევეგუოთ და თვალი გავუსწოროთ იმას, რომ სამყარო ყოველწამიერად იცვლება. სულ ცოტა ხნის წინ წარმოიდგენდით, რომ იარსებებდა უპილოტო თვითმფრინავი, თვითმოძრავი მანქანა ან 3D პრინტერები?! სწორედ პედაგოგთა კორპუსია ის ლოკომოტივი, რომელიც დგას მოვლენათა ცენტრში და ამოძრავებს მომავლის მექანიზმს. სწორედ ამიტომ, პირველ რიგში, მათ მოეთხოვებათ, იყვნენ მუდმივად ცოდნის განახლების რეჟიმში. საკმაოდ იოლია თავი აარიდო ტრენინგებსა თუ კონფერენციებში მონაწილეობას იმ მიზეზით, რომ ან დრო აღარ გაქვს, ან ნერვები. თანამედროვე მასწავლებლისათვის ეს აღარ არის საბაბი, რადგან ონლაინ შეხვედრები და სემინარები იძლევა საშუალებას, გაიღრმავო ცოდნა, საიდანაც მოგიხერხდება და როცა მოიცლი. ასე რომ, მოძებნე ონლაინ კურსი, რომელიც ინოვაციას გთავაზობს, ჟღერს საინტერესოდ და დღესვე დარეგისტრირდი.

10. აკეთე ის, რაც გამოგდის საუკეთესოდ

მიუხედავად იმისა, რომ მედიასაშუალებებიცა და კანონმდებლებიც მუდმივად ზრუნავენ საზოგადოების კეთილდღეობაზე, ცდილობენ, უმკურნალონ ჩვენს ყველა გასაჭირს, თქვენ, მასწავლებლები, ნამდვილი პროფესიონალები ხართ ამ საკითხში. თქვენ გაქვთ ცოდნა და გამოცდილება, როგორ მართოთ მოზარდთა ჯგუფი და წაიყვანოთ მომავალი თაობა სწორი მიმართულებით. თქვენ იცით, როგორ დაეხმაროთ კლასს პრობლემის იდენტიფიცირებასა და გადაჭრაში, ასევე სწორი სტრატეგიები შეურჩიოთ დისკუსიისა თუ დებატების დროს. ასწავლოთ ბავშვებს, როგორ გაიღრმავონ და გაიმდიდრონ ცოდნა მრავალი მიმართულებით, ასევე მუდმივად ზრუნავთ და პრაქტიკული სავარჯიშოებით წაახალისებთ თქვენს მოსწავლეებს. მაგრამ არც ისე იფიქროთ, რომ ყოველთვის საუკეთესო ხართ ყველაფერში და აღარ გჭირდებათ საკუთარი გამოცდილების გაუმჯობესება. თანამედროვე მასწავლებელმა იცის, როგორ დააბალანსოს თავისი პრაქტიკა ისე, რომ მიიღოს საუკეთესო შედეგები და რომელი ინსტრუმენტები გამოიყენოს, რათა დაეხმაროს თავის სტუდენტებს მიაღწიონ წარმატებას ცხოვრებაში. ამით საზოგადოების პრობლემებიც გადაიჭრება, ნაწილობრივ მაინც.

მოკლედ რომ ვთქვათ ...

მასწავლებლის აუცილებელი უნარები დღეს სცილდება ფორმულირებას: „იცის, თუ როგორ გამოიყენოს iPad“ და მოიცავს სხვა სფეროს: „იცის, როგორ დაუკავშირდეს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან“. შეიცანით ჯერ საკუთარ თავი, შემდეგ – სტუდენტები, თქვენი კოლეგები, გახდით თანამედროვე განმანათლებელი და ამით თქვენი პროფესია გადააქციეთ ყველაზე მოდურ და პრესტიჟულ საქმედ.

სტატია მომზადებულია ამერიკული გამოცემის /edudemic/ მასალის მიხედვით, ინგლისური ვერსიის ავტორი: ამანდა რონანი, 29.12.2015 წელი
(By Amanda Ronan on December 29, 2015.com)
სტატიის ქართული ვერსია მოამზადა ქეთევან ქათამაძემ თბილისის 72-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა

სკოლაში მასწავლებელი მოვიდა!

გულისკანკალით ველოდით სექტემბრის დადგომას, რადგან ჩვენი სკოლის ფუნქციონირება დამოკიდებული იყო, გვეყოლებოდა თუ არა ინგლისური ენის მასწავლებელი, რომელიც გასულ სასწავლო წელს, მიუხედავად ვაკანსიის დროულად გამოცხადებისა, არ გვყავდა, ვერც პროექტი „ასწავლე საქართველოსათვის“ დაგვეხმარა და ვერც ადგილზე მოვიძიეთ სათანადო კვალიფიკაციის კადრი, რადგან მცირეკონტინგენტიან სკოლაში მცირე საათებზე სამუშაოდ მოსვლა არავინ ისურვა. მხოლოდ თებერვლიდან, როცა საგნის სრულფასოვნად სწავლების ყველა იმედი გადაგვეწურა, თანაგრძნობა გაგვიწია ამბროლაურის მეორე საჯარო სკოლის დირექციამ (დირექტორი – **მინდია ცხვედიანი**, მოადგილე – **ლალი გველეთიანი**) და კვირაში ერთი დღე ჩვენთან სამუშაოდ გამოუთავისუფლეს **თამარ მურუსიძეს**, რომელმაც გულთან მიიტანა დედულეთის პრობლემა და დათანხმდა ჩვენთან სამუშაოდ წამოსვლაზე. ის დღე მთლიანად დათმობილი ჰქონდა ინგლისური ენის სწავლებას. რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ იყო, მაგრამ სულ არარაობას, ჯობდა.

დრო ყველაზე დიდი კაპიტალია და, მიუხედავად იმისა, რომ ყველა საგნის მაღალკვალიფიციური პედაგოგი გვყავს და მრავალ სასკოლო თუ სკოლისგარეშე ღონისძიებაში აქტიურად ვართ ჩართულები, თამამად შემიძლია ვთქვა, მრავალრიცხოვან სკოლებზე მეტადაც კი, მოსწავლეებს მოპოვებული აქვთ უამრავი დიპლომები და სიგელები, მაინც სასწავლო პროცესი არ იყო სრულფასოვანი, დროის დაკარგვას კი დრო აღარავის ჰპატიობს: მშობლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, სოფლის დატოვება და ქალაქებში წასვლა, რაც სკოლის დახურვასთან ერთად სოფლის კვდომას გამოიწვევდა.

სისტემატურად ვეკონტაქტებოდი პროექტ „ასწავლე საქართველოსთვის“ კოორდინატორს, ქალბატონ **ლალი წიკლაურს**. ის დიდი გულისხმიერებით მოეკიდა ჩვენს სატკივარს და ახალი სასწავლო წლისთვის, ინგლისური ენის მასწავლებლად, **თაია მამარდაშვილი** გამოგვიგზავნა. ყველამ გავიხარეთ: მასწავლებლებმაც, მშობლებმაც და ბავშვებმაც.

მადლობა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობას, განსაკუთრებით კი ქალბატონ ლალი წიკლაურს. ღმერთმა დაგლოცოთ!

ეკატერინე ჭიჭინაძე
სსიპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ველევის საჯარო სკოლის დირექტორი

ინფორმაცია

2001 წლის დეკემბერში ბრიუსელში საზეიმოდ დაიხურა ენათა ევროპული წელიწადი, სადაც გადაწყდა, რომ 26 სექტემბერი გამოცხადებულ იყო ენათა ევროპულ დღედ. 15 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს დღე, ევროპის საბჭოს ეგიდით, ყოველწლიურად, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აღინიშნება.

ენათა ევროპული დღის სლოგანია „ვისწავლოთ ენები მთელი ცხოვრების მანძილზე“ მიზანი – საზოგადოების ყურადღება მიაპყროს ენების შესწავლის აუცილებლობას; გააფართოოს წარმოდგენა ევროპაში გავრცელებულ ენებზე; წაახალისოს მთელი სიცოცხლის მანძილზე ენების შესწავლის იდეა. ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და მრავალენოვნების ხელშეწყობის მიზნით, 1999 წელს, იუნესკომ 21 თებერვალი მშობლიური ენის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა, ხოლო საქართველოში 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების შემდეგ ქართველმა ხალხმა თვითონ დააწესა ქართული ენის დღე.

უცხო ენას სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში დასახლებული საზოგადოება უმეტეს შემთხვევაში არ იყენებს კომუნიკაციისათვის. თანამედროვე ადამიანი პირადი საჭიროებიდან გამომდინარე სწავლობს არაერთ უცხო ენას და თანდათან იძენს ენობრივ უნარჩვევებს, კულტურათშორისი ურთიერთობის გამოცდილებას და ყალიბდება მრავალენოვან და მულტიკულტურულ პიროვნებად. ისეთი დიდი საერთაშორისო ინსტიტუციები, როგორებიცაა ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ხელს უწყობენ, ერთი მხრივ, უცხო ენების შესწავლას, ხოლო მეორე მხრივ, მშობლიური ენების განვითარებას.

უკვე ტრადიციად იქცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობით, 26 სექტემბერს, ენების ევროპული დღის საერთაშორისო მასშტაბით აღნიშვნა. წელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში, ქართული ენისა და ანბანის პოპულარიზაციისათვის, მომზადდა სასაჩუქრე მასალები: ილუსტრირებული ბროშურა „ქართული ენა“ ქართულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ და რუსულ ენებზე; პოსტერები: „ქართული ანბანი“, „ვისწავლოთ ქართული ენა“, წიგნის სანიშნე ქართული ანბანით; კომპაქტდისკი მუსიკალური ვიდეოკლიპით „ქართული ანბანი“. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყო ამ მასალების დაგზავნა უცხოეთში არსებული საქართველოს საელჩოებისათვის, რომლებიც, თავის მხრივ, მონაწილეობენ ენების ევროპული დღის საზეიმო ღონისძიებებში, წარმოადგენენ ქართული ენის კუთხეებს და ქართული ენითა თუ კულტურით დაინტერესებულ უცხოელებს გადასცემენ სასაჩუქრე მასალებს. ეს არის წარმატებული პროექტი, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება.

26 სექტემბრის აღნიშვნისათვის ევროპის საბჭოს თანამედროვე ენების ევროპულ ცენტრს აქვს ვებგვერდი – http://edl.ecml.at/, რომელზეც განთავსებულია მრავალფეროვანი ინფორმაცია ენების ევროპული დღისა და მისი აღნიშვნის შესახებ. http://edl.ecml.at/ მრავალენოვანი გვერდია, რომლის ქართული ვერსია (ka) მომზადდა პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში და უკვე აქტიურია.

2016 წლის 26 სექტემბერს ორი წელი სრულდება ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების ვებგვერდის ამოქმედებიდან. ვებგვერდზე განთავსებული სასწავლო-მეთოდური მასალები შედგენილია საერთო ევროპული ენობრივი განათლების პრინციპების გათვალისწინებითა და ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის სამმართველოსთან კონსულტაციებით. პოპულარული ქართული საიტების რეიტინგის Top.ge-ს მონაცემებით, 2015 წლის 14 აპრილიდან 2016 წლის 14 აპრილამდე, ვებგვერდს 30195 მომხმარებელი ჰყავდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ვებგვერდი www.geofl.ge მუდმივად ივსება ახალი მასალით.

* * *

მრავალწლიანი წარმატებული გამოცდილების შემდეგ ევროკავშირის კულტურულ ინსტიტუციათა გაერთიანებამ EUNIC (European Union National Institutes for Culture), სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით, თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, ენების ევროპული დღე აღნიშნა. ღონისძიება გახსნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა, EUNIC-ის პრეზიდენტმა საქართველოში შტეფან ვაკვიციმ და საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელმა კრისტიან ურსემ.

პროგრამა მოიცავდა კონკურსებს, ვორქშოფებს და მრავალ სხვა გასართობ და შემეცნებით ღონისძიებას, რომლებშიც მთელი დღის განმავლობაში 8-დან 18 წლამდე ასაკის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, 17-25 სექტემბერს, თბილისში, ჩატარდა „მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალი“, რომლის ფარგლებშიც 150-მდე სხვადასხვა ღონისძიება (კონფერენციები, საჯარო ლექციები, პრეზენტაციები, ვორკშოპები, ტრენინგები, ღია კარის დღეები, სამეცნიერო შოუები და სხვ.) გაიმართა. ფესტივალში 50-მდე უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება მონაწილეობდა.

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის დასკვნითი დღე მთლიანად დაეთმო სტუდენტებს. რამდენიმე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ორგანიზებული სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები ერთიან სივრცეში გაერთიანდა, რაც მიზნად ისახავდა: როგორც თბილისის, ისე რეგიონების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა დაახლოებას; სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მომავალი მეცნიერების მიღწევების ერთმანეთისთვის და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას; სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მნიშვნელობისა და პრესტიჟის ზრდას.

ღონისძიებაში მონაწილეობდა რამდენიმე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, ესენია: 1. კავკასიის უნივერსიტეტი; 2. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი; 3. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი; 4. საქართველოს უნივერსიტეტი; 5. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი; 6. გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი; 7. ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი.

სტუდენტური კონფერენციების თემატიკა მრავალფეროვანი იყო: ბიომედიცინა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, განათლების მეცნიერებები, სამართალი და სხვ.

კონფერენციების დასასრულს სტუდენტებს სიტყვით მიმართა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა და სამინისტროს მიერ დაწესებული ჯილდოები გადასცა სამეცნიერო ფოტოკონკურსის გამარჯვებულებს.

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი საზეიმოდ დაიხურა ვაკის პარკში, თიკა ბალანჩინისა და მისი ბენდის კონცერტითა და ფეიერვერკით.

სტუმრად უფროსკლასელებთან

ახალი სასწავლო წელი გამორჩეულად საინტერესოდ დაიწყო გალაკტიონ ტაბიძის სახელობის №51 საჯარო სკოლაში – 16 სექტემბერს პედაგოგები და მოსწავლეები თანამედროვე კინოხელოვნების წარმომადგენლებს შეხვდნენ. სკოლის სტუმრები იყვნენ ჰოლივუდის კინოოპერატორი **ანდრე ლასკარი** და კანის კინოფესტივალის „ოქროს ლომის“ მფლობელი, ჩვენი თანამემამულე **თათია ფილიევა**, რომლის მოკლემეტრაჟიანი ფილმის „თეთრი დროშა“ ჩვენებამ განსაკუთრებული მღელვარება გამოიწვია თემატიკის გამო – აფხაზეთის ომის თემა ჩვენი მაყურებლისთვის ყოველთვის მძაფრად აღიქმება.

სტუმრები მასპინძლებს საინტერესო თემებზეც ესაუბრნენ, მაგალითად: ფსიქოლოგიური პორტრეტი კინოხელოვნებაში; თანამედროვე კლიპებში ასახული ამერიკის ისტორია და პრეზიდენტები და სხვ. ეს შეხვედრა უფროსკლასელებისთვის განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა, რადგან მიმდინარე სასწავლო წელს, არჩევითი საგნის კურსით, შეისწავლიან საგანს „კინოხელოვნება“, რომელსაც სკოლის დირექტორის მოადგილე და ხელოვნების პედაგოგი **ნინო ალექსიძე** გაუძღვება.

მოსწავლეებმა შეკითხვებითაც მიმართეს სტუმრებს, შეხვედრა დიალოგის რეჟიმში გაგრძელდა. ბოლოს კი ნახეს თათია ფილიევას ახალი კლიპი „მოხსენება“.

სპორტი

მსროლელებმა ბრინჯაო მოინადირეს

ტყვიის მსროლელთა ვაჟების ახალგაზრდულმა ნაკრებმა მორიგი წარმატება იზეიმა – აზერბაიჯანულ გაბალაში ჩატარებულ თანატოლთა მსოფლიოს თასზე პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, გუნდურ ტურნირში, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ჩვენს ნაკრებში ისევ ის თბილისური სამეული შედიოდა, რომელმაც ორი წლის ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზეც ბრინჯაო ირგუნა ასევე გუნდურ შეჯიბრებაში: რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის მონაწილე **ცოტნე მაჭავარიანი**, **აკაკი მოსულიშვილი** და **ვლადიმერ მაიოროვი**. ესენი ახალგაზრდულ გუნდში კი შედიან, თუმცა 17 წლის მოსულიშვილი ჯერ ჭაბუკთა ასაკისაა. ქართულ ტრიოს ჯამში 1694 ქულა გამოუვიდა და წინ მხოლოდ რუსეთი (1711) და ინდოეთის პირველი ნაკრებია (1702).

ეს წარმატება პირად პირველობაში კარგმა გამოსვლამ გამოიწვია. მართალია, მათი შედეგები ჩამორჩებოდა პირად რეკორდებსაც და უფროსთა სტანდარტებსაც, თუმცა ახალგაზრდების კვალობაზე ურიგო არ ეთქმოდა. საკვალიფიკაციოში ჩვენგან ყველაზე უკეთ მაჭავარიანი გამოვიდა, ვინც ტურნირი 571 ქულით დაასრულა და მეორე იყო, მხოლოდ 575-იან რუს **ალექსანდრ ბასარიევს** ჩამორჩა. საკმაოდ კარგად გამოვიდა მოსულიშვილიც – 564 ქულა და მე-13 ადგილი. ასაკის კვალობაზე, ურიგოდ არც მაიოროვს უსვრია – 559 ქულა და მე-16 პოზიცია, თუმცა სამივე ჩვენებურს ბევრად მეტიც შეუძლია. მაგალითად, მაჭავარიანის რეკორდი მთელი 10 ქულით მეტია.

პირადი პირველობის ფინალში ჩვენგან მხოლოდ მაჭავარიანი შევიდა. ახალი წესებით, იქ საკვალიფიკაციოში ნაჩვენები შედეგები უქმდება და ყველაფერი ნულიდან იწყება. ფინალში ჩვენებურმა სამი რაუნდი კი გადალახა და მეხუთეზე დარჩა 135.0 ქულით. ამის მიუხედავად, მისთვის წლევანდელი სეზონი მაინც წარმატებულია – მოიპოვა რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის ლიცენზია, რითაც გახდა ოლიმპიადის ყველაზე უმცროსი მონაწილე (18 წლისაა) სპორტის ამ სახეობაში და ჩვენი ოლიმპიური დელეგაციის ყველაზე პატარა წევრი. სეზონი ასევე წარმატებულია ბიჭების გუნდისთვის, რადგან ისინი აგრძელებენ სტაბილურ გამოსვლას, რაც სამომავლო წინსვლის პერსპექტივაა.

გაბალაში გუნდურ ბრინჯაომდე სულ ცოტა – სამი ქულა დააკლდა ჩვენი გოგონების ნაკრებს, რომელშიც ამჟამად შედიოდნენ ქუთაისელი **ლიზი კილაძე** და თბილისელები: **ქეთი შედანია** და **მარიამ მაღრაძე**. ჩვენებმა საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ 1083 ქულა დააგროვეს, ბრინჯაოს მედალი კი 1086-ით უზბეკეთმა მოიპოვა. ამჯერად გუნდში არ შედიოდა ახალგაზრდებში ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი, ქუთაისელი **ნინო ხუციბერიძე**, თორემ ვინძლო, ეს სამქულიანი დეფიციტიც გაგვებათილებინა.

პირად პირველობაში ჩვენი გოგონებიდან ყველაზე უკეთ კილაძე გამოვიდა – 366 ქულით მე-14 ადგილზე გავიდა, თუმცა მისი პირადი რეკორდი მთელი 20 ქულით მეტია. ამის მიუხედავად, გაისად კილაძე ჩვენი ახალგაზრდული გუნდის მთავარი იმედი იქნება. თან აქვე გეტყვით, რომ მომავალ სეზონში ის მთლიანად ასაკობრივ ნაკრებზე იქნება გადართული, უფროსებში კი სატურნირო პრაქტიკისთვის თუ გამოიყვანენ. წლეულს ოლიმპიური ლიცენზიის ხათრით, მას ძირითადად ეროვნულ ნაკრებში აყენებდნენ და ფედერაციასაც სწყდება გული, რომ ამით მან მედალი დაკარგა, თუმცა ის რისკი გამართლებული იყო – ქუთაისის I საჯარო სკოლის 14 წლის მოსწავლეს მართლაც ძალიან ცოტა, ორიოდე ქულა დააკლდა რიო დე ჟანეიროს საგზურამდე. არადა, სალიცენზიო ტურნირიდან სამ კვირაში კილაძემ თბილისში საკუთარი შედეგი 8 ქულით გააუმჯობესა და 386 ქულა დააგროვა, ამ შედეგით კი ხალხი მთლად ოლიმპიადას თუ არა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატს ნამდვილად იგებს.

გაბალაში ურიგოდ არც შედანია გამოსულა – 362 ქულა, აი, 355-იან მაღრაძეს კი მეტი მართებდა. ვფიქრობთ, გაისად ახალგაზრდებში გოგონებშიც კარგი გუნდი გვეყოლება და მედლებსაც უნდა ველოდოთ.

შენგელია თეირანში

ქართველმა მოფარიკაველებმა წარმატებით იასპარეზეს თეირანში ჩატარებულ ჭაბუკთა მსოფლიოს თასზე, სადაც **ნიკა შენგელიამ** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მან რვა პაექრობა მოიგო და მხოლოდ ერთი დათმო.

ახლა ჩვენი ჭაბუკთა 9-კაციანი ნაკრები პოლონეთის ქალაქ კონინში გამოდის ევროპის თასზე. საინტერესოა, რომ ამ გუნდის შემადგენლობაში შედის ოლიმპიურ ჩემპიონ ვლადიმერ აფციაურის ქალიშვილი **მარიამ აფციაური** და სახელოვანი არჩილ ლორთქიფანიძის 16 წლის ვაჟი **გურამ ლორთქიფანიძე**. საინტერესოა, რომ ის ამერიკაშია დაბადებული, რადგან წლებია, არჩილ ლორთქიფანიძეც იქ ცხოვრობს და თავად ავარჯიშებს შვილს, რომელიც პირველად იასპარეზებს საქართველოს სახელით.

პირველი მოკრივე გოგო

საქართველოს 9 წარმომადგენელი მონაწილეობდა უკრაინაში ჩატარებულ 18-წლამდელ მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირში. მათგან 4-მა მედალი მოიპოვა – თითო ოქრო-ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ფინალში თბილისელმა სპორტსმენებმა იჩხუბეს – **კერხან მადიევი** (64) ჩემპიონი გახდა, **ოთარ ნავერიანი** (56) კი ვერცხლს დასჯერდა. მესამე ადგილზე რუსთაველი **ნიკოლოზ ბეგაძე** (91) და საჩხერელი **გიორგი ჭიღლაძე** (+91) გავიდნენ. მათთვის ეს ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან რამდენიმე მათგანი ნოემბერში სანკტ პეტერბურგში 18-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს.

ამასობაში, ძიუდოს, ჭიდაობის, ძალოსნობისა და კიდევ რამდენიმე „არაქალური“ სპორტის სახეობის გვერდით, საქართველოში ქალთა კრივიც იკიდებს ფეხს. ჯერჯერობით, ქვეყნის მასშტაბით, არც ისე ბევრი გოგო ვარჯიშობს ამ სახეობაში, მათი რიცხვი დაახლოებით 50-მდე იქნება, მაგრამ ყინული დაიძრა, დანარჩენი კი მომავლის საქმეა. ამასობაში ერთმა მათგანმა ისტორიაც დაწერა – ამ დღეებში ქუთაისელმა **ლილი ჯუმალმა** თურქეთის ქალაქ ორდუში 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა. მართალია, პირველივე ორთაბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ ის პირველი გოგოა საქართველოდან, ვინც კი ამ რანგის ტურნირში იასპარეზა.

20-წლამდელების ლატვიური ოვერტაიმი

საქართველოს 20-წლამდელ კალათბურთელთა ნაკრები ლატვიის ქალაქ ვენტსპილსში ევროპის ახალგაზრდულ ლიგაში ჩაერთო და ორი თამაში მოიგო, ამის წილ კი სამჯერ დამარცხდა.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის შეგირდები თავდაპირველად ბელარუსის „ცმოკი-მინსკის“ დაუპირისპირდნენ და მეტოქე დიდი ანგარიშით, 63:46 გაანადგურეს. ჩვენები მეორე შეხვედრაშიც ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან ადგილობრივ გუნდთან, თუმცა ამოქმედდა დაუწერელი კანონი, რომლის თანახმადაც მსაჯები სულ ოდნავ მაინც ემხრობიან მასპინძლებს და, ძირითადად, არბიტრთა შეცდომების გამო, ეს პაექრობა 3 ქულით – 47:50 დავთმეთ.

მეორე დღეს ჩვენები შვედურ „ლულეას“ დაუპირისპირდნენ. მათ ეს შეხვედრაც აღმავლობით ჩაატარეს და 59:50 იმარჯვეს. ისინი თავიდან ბოლომდე ფლობდნენ საგრძნობ უპირატესობას და გამარჯვება ნამდვილად არ გასჭირვებიათ. სამწუხაროდ, ეს ჩვენებურთა ბოლო მიღწევა გამოდგა ლატვიაში – ჯერ პოლონურ „ვლადსლავოვოსთან“ წაგეს 61:73, მაგრამ კიდევ უფრო მოულოდნელია მათი მარცხი, ტურნირის ბოლო შეხვედრაში, ყაზახურ „ბარსისთან“. თუმცა ეს ძალიან დაძაბული და დრამატული ორთაბრძოლა იყო, რომელშიც გამარჯვებულის გამოვლენას 3 ოვერტაიმი დასჭირდა, საბოლოოდ მოგება ყაზახებს დარჩათ: 99:96. შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ დასრულდა – 58:58. ასევე ფრედ დამთავრდა პირველი ოვერტაიმიც – 15:15 და მეორეც – 12:12. ორი ოვერტაიმის შემდეგ საერთო ანგარიშიც საყაიმო იყო – 85:85. სამწუხაროდ, მესამე დამატებით ტაიმში ყაზახებმა იმძლავრეს და შეხვედრაც 3 ქულით მოიგეს – 99:96.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი თავაძემ

წიგნის თარო — მიმდინარეობს ხელმოწერა

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა



წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“



წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია რა არის რა



ევროპა



უძველესი ადამიანი

ამინდი

არქიტექტურა

კრიმინალისტიკა

ჯანსაღი კვება

მთები

ოლიმპიური თამაშები

მეკობრეები

ქიმია

ხალხთა დიდი გადასახლება

მეცნიერებები

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა,
თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

წიგნის თარო

სიახლე

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6,50 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

მანდატურის სამსახური რეგიონებში ფართოვდება

გორის რაიონის სოფლების რამდენიმე დიდკონტინგენტიან საჯარო სკოლაში მანდატურები პირველად შევიდნენ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ, მანდატურის სამსახურის უფროსმა ვახტანგ მეიფარიანმა, მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებმა მანდატურები პირადად წარუდგინეს სოფელ კარალეთის №1 საჯარო სკოლას. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ აშშ-ს ამერიკის სკოლის ოფიცერთა ეროვნული ასოციაცია ნასროს (NASRO) აღმასრულებელი დირექტორი ჯეიმს მორის კენედი და ამერიკელი ინსტრუქტორები.

შერჩეული კანდიდატები ადგილობრივი კადრებიდან შეირჩნენ და მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა და ფსიქოლოგიური მომზადების კურსი გაიარეს.

დღეისათვის, საქართველოს მასშტაბით, 1275-ზე მეტი მანდატური 444 საჯარო და 4 კერძო სკოლაში, 3 პროფესიულ სასწავლებელსა და 1 უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას, ისინი ასევე ხელს უწყობენ სკოლებში ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას.

ქართული ენის კრებულები

სერიის ფასი – 17.70₾

ერთიანი სასწავლო მეგმით გათვალისწინებული მრავალტიპის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით. წიგნებში მოცემულია: სასაცილო აქტივობები, მარტივი ინსტრუქციები, ასაკისთვის შესაბამისი ენით დაწერილი საბავშვო ტექსტები, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელსა თუ მშობლებს, მანეკვითარონ ბავშვებს წერის, კითხვისა და მეტყველების ენარ-ჩვევები.

სერიის ფასი – 30.40₾

კრებულის ფასი – 9.90₾

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გაღასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია ელიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამოცდამზის ოფიციალურ Facebook გვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეეძლია მხოლოდ ერთ მოსწავრებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩაებარონ რამდენჯერაც თემების მისაღებით, ასევე შერეულად.

გაისსენეთ თეორიული მასალა ამ წიგნის მისაღებით და მოიწყვეთ საატესტატო გამოცდების სიმულაცია სახლში!

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X

9 772233 386008 >

CMYK